ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟიგული

1927 სახელგამი № 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად გინახავთ ყველას, რომ რომელიმე კინო-სურათში მსახიობი 5—6 სართულიდან ქუჩაში გადმოხტება ანდა თვალმიუწვდენელი კლდიდან ვარდება უფსკრულში ან ჩანჩქერზე, და ყოველივე ეს მაყურებლებში საშინელ გულისტკივილს იწვევს, თუ ტიპი საყვარელია, ან წინააღმდეგ—თუ ტიპი საზიზღარ პიროვნებას წარმოადგენს.

ყველა ამის შემდეგ იბადება კითხვა, თუ როგორ ხდება ასეთი ამბების („ტრიუკების") გადაღება, ხტებიან თუ არა მართლა ამხელა სიმაღლიდან ადამიანები, თუ არის რაიმე ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა?

ავიღოთ ერთ-ერთი შემთხვევა: სურათის მსვლელობის დროს საჭიროა ერთმა მოქმედმა პირმა მეორე მოქმედი პირი 6-სართულიანი სახლის სახურავიდან ძირს გადააგდოს, რომ მოწინააღმდეგე დამარცხდეს და მოკვდეს; ვინაიდან სინამდვილეში ასეთი მდგომარეობის განხორციელება შეუძლებელია, ამიტომ შემდეგ ხერხს მიმართავენ: გადამღები აპარადი სდგას 6-სართულიანი სახლის სახურავზე, რომელიც გვიჩვენებს სიმაღლის უზარმაზარ სიდიდეს. მოწინააღმდეგენი ეომებიან ერთმანეთს სახურავის ნაპირზე და ერთი გადისვრის მეორეს, რასაც გვიჩვენებს აპარატი, მაგრამ გადავარდნილი მოწინააღმდეგე, რომელიც უკვე გადაცდა სახურავის კიდეს, ვარდება იქვე ახლოს ხელოვნურად მოწყობილ ბადეში, ანდა რაიმე რბილ ნიადაგზე. ყველა ამის შემდეგ აპარატი იღებს შორიდან, თუ როგორ მოდის ძირს მეექვსე სართულიდან გადმოვარდნილი კაცი, მაგრამ აქ უკვე კაცის მაგიერ არის ფიტული, რომელსაც იმავე მოქმედი პირის კოსტიუმი აცვია. მიწაზე დაცემის დროს კი შეცვლიან მას და ძლიერ პატარა სიმაღლიდან ეცემა ისევ მსახიობი. და ვითომდა უკანასკნელ წუთებს განიცდის.

ყველა ზემოაღნიშნული მოქმედების გადაღების შემდეგ სამ ნაჭერს, ე. ი. პირველად სახურავიდან გადავარდნას, მერე მაღლიდან ფიტულის გადმოგდებას და, ბოლოს, პატარა სიმაღლიდან ისევ მსახიობის ძირს დავარდნას შეაერთებენ და ერთად კი ეს სტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანი გადმოვარდა 6-სართულიანი სახურავიდან და მოკვდა; ამნაირადვე და ასეთი ხერხებით ხდება რომელიმე კლდეზე ან ჩანჩქერზე გადავარდნის გადაღება.

შინაარსი:

		გვ.
1.	ავაგოთ თვითმფრინავი „პიონერი" — **ასტაშევასი.**	2
2.	წითელი ბელურები (დასასრული) — **ნ. გ-ის**	3
3.	ხუთი მდინარის სათავეში — **ნ. კეცხოველის**	8
4.	პიონერთა საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა — **ვ. იმედაძის**	12
5.	როგორ უვლიან და ეხმარებიან უპატრონო ბავშვებს	14
6.	ჩვენი ძმები მსოფლიოში.	16
7.	პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება	18
8.	დროის წესიერად განაწილების შესახებ — **გ. სოსელიანი.**	20
9.	საბჭოთა მრეწველობის ნიხწევანი	21
10.	ჭადრაკი	22
11.	თამაშობანი და კინო	კანზე.

329.153(05)
3-47.
საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1927
30 ნოემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ვ. ო. ცენტრალური მიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცუკასთან) ჟურნალი მაგზომისათვის

წელიწადი II
№ 22

1. ხელსაქმის წრე კოლექტივში. 2. რადიომიმღები კოლექტივში. 3. პიონერები ამზადებენ კედლის გაზეთს. 4. პიონერების მიერ გაკეთებული თვითმფრინავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავაგოთ თვითმფრინავი „პიონერი“

ჩვენ ახლახან აღვნიშნეთ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი, როგორც მთელი მსოფლიოს დიადი დღესასწაული; ჩვენ გავიხედეთ უკან, თვალი გადავავლეთ განვლილ ათი წლის გზას. ვიცით, რომ მედგარი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მამებმა მოიპოვეს თავისი უფლებანი. ისინი გახდენ პატრონი ფაბრიკების, ქარხნების, მიწის და ჩვენი ქვეყნის მთელი სიმდიდრის. თქვენ კი მიიღეთ შრომის სკოლები, საბავშო სახლები და სანატორიუმები, ბანაკები, მოედნები და კლუბები.

მხოლოდ ახლა, მშვიდობიანობის პერიოდში, საბჭოთა კავშირი გამოვიდა დანგრევის სალტედან და გადავიდა ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობაზე. თქვენ თვალწინ შენდება ახალი გიგანტური შენობები, ფაბრიკები, ქარხნები, მუშათა ბინები და სხვა.

ამერიკის, ინგლისის ბანკირები და მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები, რომელნიც ხედავენ ჩვენი ქვეყნის განვითარების ასეთ ჩქარ ტემპს, უფრო მეტი შურით და მტრობით ლესავენ ჩვენზე კბილებს.

ეს არ მოსწონთ მათ, ისინი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა წინაშე ავრცელებენ ცრუ ამბებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, მაგრამ მაინც ფონს ვერ გავლენ. უცხოელთა დელეგატები ჩამოვიდენ ჩვენს ქვეყანაში, მათ ჩვენთან ერთად იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის 10 წლის თავი, მათ ნახეს, თუ როგორ ვვითარდებით და ვიზრდებით, მათ ნახეს და დარწმუნდენ, რომ მუშათა კლასს შეუძლია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა კაპიტალისტების მონაწილეობის გარეშე. ისინი წავლენ და უამბობენ თავის მუშებს და გლეხებს, თუ როგორ ცხოვრობს ს. ს. რ. კ. მშრომელი ხალხი.

ნორჩო პიონერებო!.. ჩვენ კაპიტალისტებისაგან ალყაშემორტყმულნი ვართ.

ომის საშიშროება დღითი-დღე იზრდება. მსოფლიოს კაპიტალისტები საომრად ემზადებიან საბჭოთა კავშირისა და რევოლუციონური ჩინეთის წინააღმდეგ. მათ ფაბრიკანტებისა და მებატონეების დაბრუნება სწადიათ. იმ ომში, რომლის გაჩაღებაც კაპიტალისტებს სურთ, ყველაზე უფრო მუშებისა და გლეხების ბავშები დაიჩაგრებიან.

მათ სურთ ახალი სისხლისმღვრელი დღეები. საბჭოთა კავშირს ომი არა სურს.

ჩვენთვის ძვირფასია მუშებისა და გლეხების სისხლი.

მაგრამ ომისათვის მაინც მზად უნდა ვიყოთ. მზად უნდა ვიყოთ თავის დასაცავად.

გადამწყვეტი და მკაცრი შებრძოლებით უნდა უკუვაგდოთ მათი იერიში. ნორჩ ლენინელთა პიონერულმა ორგანიზაციამ გადასწვიტა თვითმფრინავი „პიონერის“ აგება, ლოზუნგით „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“. ფულის შეგროვებას უკვე შეუდგენ. საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქის პიონერ-კოლექტივებიდან უკვე იგზავნება პიონერთა შორის შეგროვილი თანხები. შეგროვილი ფული მთლიანად მოხმარდება თვითმფრინავი „პიონერის“ აგებას. ეს იქნება „პიონერული პასუხი ჩემბერლენს“, ეს არის საბჭოთა თავდაცვის საქმეში პიონერთა მონაწილეობა.

საქართველოს ქალაქის და სოფლის ნორჩი პიონერები დუმილით არ უნდა შეხვდენ ამ საქმეს, ჩვენც უნდა შევიტანოთ ჩვენი შესაფერისი წვლილი თვითმფრინავის აგებისათვის.

პიონერებო, დაეხმარეთ თვითმფრინავის აგებას, დეე, თქვენი მცირედი ნაწილიც ირიცხებოდეს მისი აგების საერთო საქმეში.

ნორჩო პიონერებო, გადაეცით ეს თქვენს ამხანაგებს, მშობლებს. დეე, მათაც მიიღონ მონაწილეობა. შეიტანეთ, ვის რამდენიც შეგიძლიათ: თითოეულ კაპეიკსაც აქვს მნიშვნელობა მისი აშენების საქმეში. იყავით აქტიური მონაწილენი და თქვენ ამით განამტკიცებთ ქვეყნის თავდაცვას.

შეისწავლეთ სამხედრო საქმე.

შეასრულეთ ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიუროს დავალება.

მონაწილეობა მიიღეთ მსროლელთა წრეებში, შეისწავლეთ ქიმიური თავდაცვის წესები.

ეცადეთ, რომ ყოველმა ბავშმა მიიღოს მონაწილეობა თვითმფრინავის აგებაში. თვითონაც მიიღეთ მონაწილეობა „პიონერის“ აგებაში.

სწორედ ამით უკუვაგდებთ „შუბლმაგართა“ იერიშს.

ნორჩო პიონერებო, ააგეთ პიონერული თვითმფრინავი ჩემბერლენის საპასუხოდ, მტრის მოსაგერებლად იყავით მზად!..

ასტაშევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხელი ბელურები

(ამბავი სამოქალაქო ომის ცხოვრებიდან) *

ბავშები შტაბში წაიყვანეს...

რუმბივით გაბერილი დაბალი პოლკოვნიკი გრძელ, ჭალარა ულვაშებს ათრთოლებული ხელით ნერვიულად იგრეხდა...

— თქვენ ვინა ხართ?—ხრინწიანი, არაადამიანური ხმით შეეკითხა მათ.

ბავშები დაიბნენ, შეშინებული ვასო და პეტრე გრიშას ზურგს ეფარებოდენ.

— ჰაი, თქვე არამზადებო! — შეჰყვირა პოლკოვნიკმა და გრიშას ყური მაგრად აუწია.

გრიშამ უკან დაიწია, ლამის ღრიალი მორთო, მაგრამ უცებ შეჩერდა, გაკერპდა, პოლკოვნიკს ანთებულ თვალებში პირდაპირ შეხედა და მხნედ უპასუხა:

— ჩვენ ლტოლვილები ვართ, წითლებს გამოვექეცით.

— ცრუობს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ლტოლვილები ყველა ვაჭრები და შეძლებული ხალხია, აცვიათ სუფთად, ესენი კი, ეტყობათ, მაწანწალები არიან, ალბათ, ჯაშუშებიც იქნებიან,—სთქვა ერთმა ყაზახთაგანმა.

— სიდორენკო!.. მომართვი წკეპელი! — დაიღრიალა პოლკოვნიკმა.

გრიშა გაფითრდა, სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა.

პოლკოვნიკმა წკეპელი მოიმარჯვა და მსხვერპლს ბრაზიანი გაფართოებული თვალებით დააშტერდა.

— ახლა ხომ იტყვი?

— ბატონო პოლკოვნიკო! გთხოვთ აპატიოთ, ესენი ჯაშუშები არ არიან,—მიმართა პოლკოვნიკს იქვე მდგომმა ოფიცერმა.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რასაკვირველია... თქვენ ამაოდ ღელავთ, ამათი ჯაშუშობა ვინ გაიგონა!

— ჰმ... კარგი, გამითავისუფლებია. სიდორენკო! წაიყვანე ესენი ყაზარმაში.

სიდორენკო ფეხის წვერებზე შემოტრიალდა.

— მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ბავშები წინ აიდენა და კარებისაკენ გაემართა.

— შეჩერდით,—ისევ დაიღრიალა პოლკოვნიკმა—შენ, ჰეი, რა გქვიან?

— მე, ბატონო, გრიშა...

— აი რა, ჩექმების გაპრიალება იცი?

გრიშა უცებ ჯარისკაცივით აიშოლტა, მკერდი წინ წამოსწია:

— ვიცი, ბატონო პოლკოვნიკო!

— წერა-კითხვა იცი?

— ვიცი.

— კარგია, დარჩები ჩემთან, დენშჩიკს მოეხმარები, ესენი კი სამზარეულოში წაიყვანე.

გრიშამ დრო იხელთა და ამხანაგებს წასჩურჩულა:

— შორს ნუ წახვალთ, მე შემოვირბენ.

ათი წამის შემდეგ კიდევ გაისმა პოლკოვნიკის ხრინწიანი ხმა.

გრიშა თვალის დახამხამებაში მაგიდასთან გაჩნდა და უსმენს.

— წადი და მორიგეს გადაეცი: პოლკოვნიკმა გიბრძანა შეატყობინო ყველა ოფიცერს, რომ საღამოს ექვს საათზე დანიშნულია კრება-თქო. გაიგე? აბა, ჩქარა, მარშ!

კრებამდე ერთი საათით ადრე გრიშამ და მსახურმა სიდორენკომ ჩაის ჭურჭელი დაასუფთავეს და სამოვარი შემოდგეს.

სრულ ექვს საათზე პოლკოვნიკის დიდი ოთახი ოფიცრებით გაიჭედა. ჩაის მიტანის დროს გრიშამ მაგიდაზე შეამჩნია შავი მელნით დახაზული დიდი რუკა, რომელსაც ოფიცრები დიდის ყურადღებით ათვალიერებდენ.

— ბატონებო! ასე არ შეიძლება,—ცხარობდა კაპიტანი,—ჯერ საჭიროა მოვემზადოთ, დამხმარე ჯარს დავუცადოთ, და მხოლოდ შემდეგ შეგვეძლება დავარტყათ წითლების მარცხენა ფრთას, მანამდე კი ყოველგვარი შეტევა ამაო იქნება.

— თქვენ სცდებით, ბატონო კაპიტანო, წითლები ჩვენთან შედარებით უძლურნი არიან. ახლა

* დასაწყისი იხ. „პიონერი", № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყოვნება უდრის ჩვენსავე დამარცხებას; უმჯობესია შევუტიოთ, სანამ ძალას მოიკრებდენ, თორემ შემდეგ გვიანლა იქნება, — სთქვა გამხდარმა, მაღალი ტანის ოფიცერმა და რაღაც ქაღალდები გადაშალა.

— გეგმაც ხომ ჩინებულია! არ არის საჭირო დაეხმარე ჯარი. იარაღი გვეყოფა, საკმაოდ დასვენებულიცა ვართ, ერთი სიტყვით, დაუყოვნებლივ უნდა შევუტიოთ.

„ოჰოო! აი, თურმე, რას ეპირებიან?! რომ შეიძლებოდეს ახლავე ჩვენებთან გავიპარო და ყველაფერი გადავცე, ჰაი, რომ ჩვენებს გადავარჩენ და ესენი კი მახეში გაებმებიან“ — გაიფიქრა გრიშამ და, როცა ოფიცრობა დაიშალა, დრო იხელთა და სამზარეულოსაკენ გავარდა:

— ბიჭებო! აქა ხართ?

— აქა ვართ, კართოფილს ვასუფთავებთ, — გაისმა პასუხი.

— ჩვენ ამალამ უთუოდ უნდა გავიქცეთ. როცა კარგად შებინდდება, ლობეზე გადაძვერით და ბალჩაში მომიცადეთ, მხოლოდ ფრთხილად, არ შეგამჩნიონ.

— ჩვენ მზადა ვართ.

— გაწექით მიწაზე და მელოდეთ.

— მერე შენ?

— ხომ გითხარით, მომიცადეთ მეთქი, მე მოვალ, — უთხრა გრიშამ ამხანაგებს და ისევე გამობრუნდა.

დაღამდა. პოლკოვნიკი ოთახში ნერვიულად მიდი-მოდიოდა. გაღებული კარებიდან გრიშა ხედავდა, თუ როგორ შეჩერდებოდა ხოლმე მაგიდასთან ღრმად ჩაფიქრებული პოლკოვნიკი, დიდხანს, ძლიერ დიდხანს დაჰყურებდა რუკას და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა.

გრიშას თავში გაუელვა:

„რა კარგი იქნება, რომ ამ გეგმას ავწაპნიდე“. მაგრამ უცებ შეეშინდა, ტანში ცივად გააჟრჟოლა, გულმა ცემას უმატა: „მერე, რომ დამიჭირონ, ხომ უთუოდ მიმახვრეტენ?“ — გაიფიქრა მან.

— სიდორენკო! ლოგინი გამიმზადე. გრიშა! ჩექმები გამხადე, — მოულოდნელად დაიძახა პოლკოვნიკმა, შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა და გრიშას გასახდელად ფეხი გაუწოდა.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ პარიზის (საფრანგეთი) ერთ-ერთ მოედანს მუშებმა უწოდეს საკვს და ვანცეტის მოედანი. ამის აღსანიშნავად საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაცია, რომელშიაც 100000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ამ სურათზე გამოხატული პრიან დემონსტრაციაზე მონაწილე პიონერები. მარცხნით სდგას 1871 წ. პარიზის კომუნის მონაწილე.

ოთახში სინათლე ჩაქრა. სიდორენკოს ტკბილად ჩაეძინა.

ფანჯრის ჩარჩოზე გაწოლილ გრიშას მეორე ოთახიდან ესმოდა პოლკოვნიკის განუწყვეტელი ხველება და ტახტის ჭრიჭინი. გარეთ კი ნელი ნაბიჯებით დასეირნობდა გუშაგი და სევდიანი ხმით გაიმღეროდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა ყოველივე მიწყნარდა, გრიშა ფანჯრის ჩარჩოდან დიდი სიფრთხილით ჩამოვიდა, კედლის ჩრდილს გაეკრა და მუხლებზე ხოხვით პოლკოვნიკის ოთახისაკენ გაეშურა. ჯერ დააყურა, მერე კარები დაკვირვებით, წყნარად შეაღო... ლოგინზე გაშხლართული პოლკოვნიკი არხეინად ფშვინავდა. გრიშა შუა ოთახში მაგიდას მიუახლოვდა.

სქელ ღრუბლებში ჩაფლულმა მთვარემ უცებ გამოიხედა და სხივნაკრავმა ფანჯარამ ტალახიანი იატაკი მკრთალად გაანათა.

გრიშა დიდხანს იჯდა მაგიდის ქვეშ, დაყურსუული, სუნთქვაშეკუბებული, შემდეგ მაგიდაზე ფრთხილად აჰყო ხელი, ხელში რაღაც რვეულის მსგავსი მოჰყვა და დაითრია... მერე რუკის დიდი ფურცელიც მონახა... მღელვარებისაგან მთელი სხეულით თრთოდა, ცახცახებდა. უცებ ოთახში მკაფიოდ გაისმა რუკის შრიალი... გაიტრუნა... გაქვავდა... ქაღალდის შრიალი ქუხილად მოეჩვენა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ისევ ჩვეულებრივი სიჩუმე ჩამოვარდა. გრიშამ ქაღალდები დაახვია, იღლიაში ამოიდო, ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა, სამზარეულოს ფანჯრიდან მარდად გადახტა და წამს ეზოში გაჩნდა.

გარეთ გუშაგი ისევ სევდიანი ხმით ღიღინებდა.

„ამას რომ არ დასძინებია? მაგრამ ახლა მაინც სულერთია“ — გაიფიქრა მან და იქვე შენობის ჩრდილებში მიიმალა.

—

ვასოს აღარც ახსოვს, თუ როგორ მოხვდა ღობის მეორე მხარეზე. მიწაზე მუცლით გაწოლილი მიფორთხავდა, ხელებს ბალახებში აფათურებდა, ჯინჭარმა სახე სულ დაუსუსხა, მაგრამ ხმაც არ ამოუღია. სულგანაბული, ტყის ქათამივით მიწაზე გაკრული უცდიდა, გუშაგი როდის მიეფარებოდა, რომ შემდეგ ისევ განეგრძო გზა. ვასოს პეტრემ ორი ლაზათიანი მუჯლუგუნიც უთავაზა გაფრთხილების მიზნით, და როცა სამზარეულოს კარგა მანძილზე გაშორდენ, პეტრემ თავისუფლად ამოისუნთქა:

— არ მეგონა, თუ ასე ვიმარჯვებდით და დაჭერას გადავრჩებოდით.

ციოდა. ვასო კანკალმა აიტანა. კბილს კბილზე აცემინებდა,

— გრიშა რომ შეამჩნიონ, მაშინ ხომ ჩვენც დაგვიჭერენ? — ამბობდა ვასო.

პეტრეც ამ შიშს შეეპყრო, მაგრამ არ იმჩნევდა და ვასოს დამშვიდებას ცდილობდა:

— არ შეშინდე, ის მარჯვე ბიჭია, ახირებულად არ ჩავარდება.



მაგიდაზე ფრთხილად აჰყო ხელი. ხელში რაღაც რვეულის მსგავსი მოჰყვა და დაითრია...

დიდხანს ისხდენ ისინი სულგანაბულნი ღამის სიბნელეში, უცდიდენ გრიშას, მაგრამ ჩამიჩუმიც არ ისმოდა. პეტრე უკვე სასოწარკვეთილებას მიეცა, რომ ამ დროს გრიშამ ამხანაგებს ჩუმი სტვენით ანიშნა; პეტრემ სტვენითვე უპასუხა. გრიშა ღობეს მარდად მოევლო და ხელში დახვეული ქაღალდებით ამხანაგებს მიუახლოვდა.

— ამდენი ხოხვით მუხლები სულ დამისისხლიანდა, მაგრამ არაფერია. აბა, ბიჭებო, მოვუსვათ!..

— ეგ რა წამოგიღია? — შეეკითხა პეტრე.

— ეს გეგმებია, საჭაროდ უნდა გადავცეთ.. აბა... მარშ!

ბავშები კართოფილის ნათესებში გაჩქარებული ნაბიჯებით გაეშურენ.

პეტრე ღელავს:

— სწორი გზით მივდივართ? არ დავიბნეთ.

— აი, ხომ ხედავთ, ესეც კელი, გზა სწორია, — ამშვიდებს გრიშა.

ზაფხულის ღამის მკრთალ სიბნელეში შორს მოჩანდა ნაპურალი ყანები. საჭირო იყო ამ ველის საჭაროდ გადარბენა.

ამ დროს დასავლეთიდან ამოიჭრა ძლიერი ქარი და მთვარეს შავი ღრუბლები შემოაცალა.

— აქ ცოტა უნდა შევიცადოთ, სანამ ველს ღრუბლის ჩრდილი არ ჩააბნელებს, თორემ მთვარემ დღესავით გაანათა და უთუოდ შეგვამჩნევენ, — სთქვა გრიშამ და ამოვენი მწვანე ბალახებში ფრთხილად გაწვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარბოდენ ღამის სიბნელეში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა მთვარეს ისევ შავი ღრუბელი გადაეკრა და ველზედაც დაბნელდა, გრიშამ ამხანაგებს ანიშნა და სამივენი, რაც ძალა შესწევდათ, ველზე სირბილით გაეშვენ. შორს სადღაც ღამის სიბნელეში ძაღლმა ყმუილი გაბა, მას აჰყვენ სხვა ძაღლებიც და ატყდა ერთი ალიაქოთი.

— ვინა ხართ... შეჩერდით...

გაისმა ზურგიდან. ბავშებმა სირბილს უმატეს. აჰა, ბუჩქნარსაც მიაწიეს. ბუჩქნარს იქით ხშირი ტყეა... ტყე კი დიდია და უდაბური. ქარმა უფრო მძლავრად დაუბერა, ბუჩქები ირხევიან, ხის შტოები ბავშებს სახეში ხვდება, მაგრამ ამას არცა გრძნობენ. უცებ ბუჩქნარში მათ ფეხებთან რალაცამ გაიზუზუნა. ვასო შეკრთა, მაგრამ არ წაქცეულა, სირბილს უმატა.

ჰატარა ამხანაგები ნაძვების, ცაცხვების და ფიჭვების შტოებით გაბადრულმა ტყემ შეიფარა.

ორი საათის განმავლობაში შეუსვენებლივ მირბოდენ. ტყეში ძლიერი ქარი საზარლად გმინავს, ხის შტოები იმსხვრევიან, ცა უფრო დაბნელდა, სქელ შავ ღრუბლებში გაისმა გრგვინვა, და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ბავშები ერთ უზარმაზარ ცაცხვს შეეყუჟენ.

— უჰ, როგორ გახურებულია, — მილეული ხმით სთქვა ვასომ და ფეხი მოისინჯა.

— შენ ხომ არ დაგჭრეს? — ერთხმად შეეკითხენ ამხანაგები.

— მგონი... ძალზე ამეწვა... აი აქ.

გრიშამ ფეხი გაუსინჯა, თბილ სისხლში ხელები დაესვარა.

— ეს ხომ სისხლია?! — შეშინდა გრიშა, — სიარული შეგიძლია?

— შემიძლია, — შეწუხებული ხმით უპასუხა ვასომ.

ბავშები გზის განგრძობას აპირებდენ, მაგრამ სქლად ჩამოწოლილ ღრუბლებში ისევ გაიელვა, ჭექა-ქუხილი უფრო გაძლიერდა და წვიმამაც უმატა. ტყე თითქო ქშინავდა, ოხრავდა, დროგამოშვებით ხან აქ, ხან იქ გაისმოდა წელში გადატეხილი ხეების ტკაცანი, რომელნიც მიწაზე ერთი ზავთით და გრიალით ეცემოდენ.

გრიშა ბრაზობდა.

— დასწყევლოს გამჩენმა, კიდევ ცდა მოგვიხდება და, რაც მთავარია, ქალალდები სულ დამისველდება.

მაგრამ ქუხილი დიდხანს არ გაგრძელებულა, ქარმა ცაზე სქელი ღრუბლები მიმოფანტა და ისევ გამოჩნდა ლურჯი, ვარსკვლავებით მოკირწლული ლაჟვარდი, რომელსაც ოდნავ წითელი ფერი გადაჰკრავდა.

ირაკლაჟა.

— როგორ ხარ, ვასო, ცუდად? უკეთესი იქნება შეგიხვიოთ. ხედავ, სისხლი მოგდის?...

გრიშამ პერანგს სახვევები შეახია:

— ჰეტრე, მომეხმარე.

ჭრილობაზე ცაცხვის ფოთლები დააფარეს, ჩვრებით მაგრად შეუკრეს, მკლავებში ხელი ჩაჰკიდეს და გზას გაუდგენ.

დიდხანს მიდიოდენ ასე დაბურულ ტყეში, ფეხებს სველ ბალახზე ძლივს იმაგრებდენ და ყოველ წაბარბაცებაზე ვასო კვნესოდა, საცოდავად იგრიხებოდა. დიდის ვაივაგლახით მდინარემდე მიახწიეს, როცა აღმოსავლეთიდან მზე უკვე ამოდიოდა, და ხის ფოთლებზე დაკიდებული წვიმის წვეთები ნატყორცნ შუქებზე ოქროსფრად აელვარდა.

— ჩვენები აქედან ახლოს არიან, ჩქარა მივალთ, — ამხნევებდენ ვასოს ამხანაგები.

გადიოდენ მდინარეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა კი მდინარეში უნდა გავიდეთ, ჰა, ეს შენ წამოიღე, — გრიშამ პეტრეს ქალალდები გადასცა, ვასო ზურგზე მოიკიდა, მარჯვენა ხელი პეტრეს ჩასჭიდა და ორივენი გალმა გაიყვანა. ხუთი ნაბიჯი არც კი გაუვლიათ, რომ ცხენების ფრუტუნი შემოესმათ და მდინარის ორივე ნაპირიდან თოფებმა დაიჭექა.

— ბიჭებო, არ შეშინდეთ, ეს ჩვენებია, — გაიძახოდა გახარებული პეტრე. მათი აღფრთოვანება უსაზღვრო იყო.

ამდენი სიარულით მოქანცულმა, მთლად დასველებულმა ბავშებმა უკანასკნელი ლონე მოიკრიბეს და ჩქარი ნაბიჯებით გაეშურენ მახლობელი ტყისაკენ.

წითლების მზვერავებმა შეამჩნიეს ტყეში მომავალი ბავშები, ცხენოსან თეთრგვარდიელებს თავი ანებეს, დაჭრილი ვასო ხელში აიყვანეს და შტაბისაკენ გასწიეს.

გრიშამ უფროს მზვერავს დასველებული გეგმები გადასცა და გულათრთოლებულმა სხაპასხუპით უამბო თავისი და ამხანაგების თავგადასავალი.

ორი დღის შემდეგ ვასო საავადმყოფოში მიიყვანეს. ფეხს სრულიად ვეღარ ამოძრავებდა, სახე გამკრთალებოდა და ბაგეებჩალურჯებული მწარედ კვნესოდა, ციებიანივით იგრიხებოდა.

— ასე არ ვარგა, საჭიროა ბავშის გამხნევება, — სთქვა თეთრწვერიანმა ექიმმა, თახჩიდან რაღაც წამალი გადმოიღო და სითხით სავსე ფინჯანში ჩააგდო.

— გულადო მეომარო! აბა, სინჯე, მოგიხდება...

ვასომ წამალი დალია და წუთის შემდეგ სხეულში იგრძნო რაღაც საამური სითბო, ტკივილებმა უკლო, თვალები თავისთავად მიიხუჭენ.

ექიმმა მოსამსახურე ქალებს დაუძახა. ვასოს თბილ წყალში ჯერ ტანი დაბანეს, სუფთა საცვლები ჩააცვეს და მერე ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც შუაგულში დიდი თეთრი მაგიდა იყო.

— აქ რა მინდა? უცებ თვალები გაახილა ვასომ, შემდეგ ექიმს მიუბრუნდა და შეეხვეწა:

— ძია, გამიშვი, დაძინება მინდა... დავიღალე.

— ახლა ცოტა ხანს მოითმინე, ბიძი, მერე კი იძინე, სანამ არ მოგეწყინება, — უთხრა ექიმმა და უბრძანა მაგიდაზე დაწოლილიყო.

ვასო ჯერ მაგიდაზე კარგად არ გასწორებულიყო, რომ ექიმმა სახეზე რაღაც პირსახოცი გადაეფარა. ვასო შეკრთა, ცხვირში საშინელი და საძაგელი სურნელება იგრძნო. გული აერია, უნდოდა პირსახოცი მოეშორებია, წამომხტარიყო, ეყვირა: — მიშველეთ, მახრჩობენო, — მაგრამ მხოლოდ ერთი უღონოდ ამოიკნავლა, მაგიდაც თითქოს შეირხა, ქვეშიდან გამოეცალა და უფსკრულში წყნარად ჩაეშვა... ვასოს მეტი აღარაფერი ახსოვს, ცნობიერება დაეკარგა.

„ეს წყეული ბუზი რაღას ჩამცივებია?“ — ფიქრობს ნახევრადგაღვიძებული ვასო, მაგრამ თვალებს მაინც არ ახელს. ბუზი კი აღარ ეშვება, ბზუის და ბზუის, სახეზე არხეინად გაისეირნა და ბოლოს წამწამებზედაკ შეალოღდა.

— მე შენ გიჩვენებ სეირს! — წაიბუტბუტა ვასომ, აბეზარ ბუზს ხელი დაუმიზნა და ტაკაც — სახეზე ტლაშანი მოიღო.

გვერდით ვიღაცას გაეცინა. ვასო გამოფხიზლდა, გადახედა: იქვე სკამზე ზის მამა და შვილს ალერსით სავსე თვალებით მისჩერებია.

ხმალამოწვდილ წითელ მხედრებს ქუჩაში მიჰყავდათ თეთრგვარდიელი ოფიცრები.

— ნეტავი სად უნდა ვიყო? ალბათ, შინა ვარ, — გაუხარდა ვასოს, წამოდგომა დააპირა, მაგრამ სისუსტის გამო ვერ შესძლო.

— იწექი, შვილო, ეგრე აჯობებს, ჯერ ცოტა შეისვენე და მერე ვილაპარაკოთ, — დაარიგა მამამ.

ვასო ლოგინში ვეღარ ისვენებს, თავს ახლა ძლიერ კარგადა გრძნობს: მამა მასთან არის, ფეხი აღარ სტკივა, და მზეც გალებული ფანჯრიდან მის ლოგინს უხვად აშუქებს.

შემოვიდა ექიმი.

— ყოჩაღ, ბიჭებო! მოხერხებაც ამ.სა ჰქვიან.

მაგათი დახმარებით ხელში ჩავიგდეთ თეთრგვარდიელების მთელი დივიზია, ტყვეებიც აგერ მოჰყავსთ.

ვასომ ფანჯარაში გაიხედა. ხმალამოწვდილ წითელ მხედრებს ქუჩაში მიჰყავდათ ბრწყინვალედ გამოწყობილი თეთრგვარდიელი ოფიცრები. ყველაზე წინ მიდიოდა სწორედ ის დაბალი პოლკოვნიკი, მათ რომ ერთხელ გაწკეპლვას უპირებდა. ვასომ ვეღარ მოითმინა, ლოგინში წამოჯდა, პოლკოვნიკს ფანჯრიდან მუშტი დაუღირა და გადასძახა:

— ჰაი, შე გაბერილო კამეჩო, ხომ გაები, აგრე მოგიხდება!

ექიმმა ვასოს მეტი აღარ დააცალა, ისევ ლოგინში ჩააწვინა და სიცილით, ალერსიანად უთხრა:

— იყუჩე, შე მოუსვენარო, შე მართლა წითელო ბელურავ.

ნ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი მდინარის სათავეში

3. ტყის ანაბრად *)

ჯოყოლოდან გვიან გავედით.

— თუ მოვასწრებთ ასვლას — კარგი, თუ არა და ტყე ხომ იქ არის, — ამბობს ჩვენი გამყოლი გაბრიელი.

ყველას ცხენები გვყავს. იშვიათად მქონია ასეთი იღბლიანი მგზავრობა: ჩვეულებრივ სულ ქვეითად დავდივარ ხოლმე...

იქ, სადაც ბაწარას ხევი უერთდება ალაზანს, სამკუთხედად შემოჭრილია ორ მდინარეს შორის ტბათანას ალმართი. გავლიეთ ეს მცირე ვაკე გზა და ბაწარას ხევში გასვლისთანვე შევუდექით ალმართს.

ჩვენ წინ თხუთმეტიოდე შეკაზმულმა ცხენმა შეითოხარიკა... ერთ ცხენზე ხანში შესული დედაკაცი იჯდა და ვაჟკაცურად დასჭყიოდა ცხენებს, თუ საითმე გადაუხვევდენ, გზას თუ ასცილდებოდენ.

— გაბრიელ, მომიგდე აი ცხენი, როგორღაც მოუსვენარ დადის, — გასძახა გაბრიელს, რომელმაც დაუარა, დაიჭირა „მოუსვენარ“ ცხენი და გრძელი ბაწარი მიაწოდა მეჯოგე ქალს.

— მზის ჩასვლამდე ტბათანაზე ავა კიდეც, — სთქვა გაბრიელმა და თვალი გააყოლა იმ ბუჩქნარს, სადაც ცხენების ჯოგი მიიმალა და ისმოდა მხოლოდ ცხენთა ფეხის თქარათქური და მეჯოგე ქალის ჭარმაგი დაკივლება.

ალმართს შევუდექით, ცხენებზე ვსხედვართ, მაგრამ არც ესაა აქ ადვილი. უზარმაზარი წიფლის ტოტები გადმოზიდულან ბილიკზე და რომ არ დაიხარო, ცხენს რომ არ გაეკრა, გადმოგიღებენ ძირს... გაბრიელი კი წასწვდება ხელდახელ, მოსტეხს ტოტს და სიამოვნებით გააქნევს თავს.

— წელს ღორი ძალიან დასუქდება, წიფელს კარგა ასხია...

და სწყვეტს სათითაოდ ნაყოფს და ციყვივით ატკაცუნებს თავისი მაგარი კბილებით.

მართლაც, ზოგიერთი წიფლის ტოტი სიმძიმისაგან მიწისკენაა დახრილი და ჩამოწოლილი.

— წაბლმა კი გვიღალატა... — ისმის გაბრიელისავე გამოხმაურება და ვეებერთელა წაბლქვეშ დატრიალობს ცხენდაცხენ. თავი მაღლა აუწევია და, ეტყობა, ეძებს ნაყოფს ფოთლებში.

— აქ წაბლი იცის, გაბრიელ?

— როგორ არ იცის, მაგრამ ეხლა გონჯი ხეები-ღა დარჩა... რაც კარგი ხე იყო, მოსჭრეს და ფიცრებად დახერხეს... არ არის — დაატანა და თოხარიკით ცხენი ჩვენთან მოაგდო.

— ერთმა თუშმა წაბლი მოსჭრა. ვინ იცის, რამდენი ხნის იყო. დიდი იყო ძალიან, მისი ფიცრისგან სამი თვალი ოთახი დადგა... მართალს გეუბნევი, — დაატანა, ჩემი გაკვირვება რომ დაინახა. — ალვანში რომ ჩავივლით, გაჩვენებთ... აქ ცაცხვებიც კარგი იდგა. უზარმაზარი, მაგრამ არც ის დააყენეს. მაგრამ აგერ, რა უშავს იმას?

მიმითითა უზარმაზარი ცაცხვისაკენ, რომელსაც თავის ტოტებ ქვეშ მოეტანა ნეკერჩხალი, თელა და თხილი, სხვა ბუჩქნარი მრავალი...

შელმართი თავქვე დაეკიდა... ცხენებმა მოუმატეს თავებით მუშაობას, ნალები ნაპერწკლებს ჭყრიან...

— ჩამოვიქვეითოთ, ცოდონი არიან...

ალვირები უნაგირს გადავუგდეთ და მივუშვით თავისუფლად. აივლიან ერთ ოც ნაბიჯს და შეჩერდებიან... მოითქვავენ სულს და ერთი შეძახება საკმარისია, რომ კვლავ გასწევენ წინ... რაც მაღლა მივდივართ, მით უფრო ტყეს ბარაქა და დოვლათი ეტყობა... ჩანს, აქ ისე ხშირად არ იჩეხება.

აგერ, მაღლიდან გამოჩნდენ ძროხები... „ჰამ, გიშერავ...“ — შეტევა. ბალღის ხმას ჰგავს.. მალე დაგვიპირდაპირდა. ქონდრის კაცსა ჰგავს. ტანისამოსი დიდის, ვაჟკაცის, სახე რვა-ცხრა წლის ბალღის. ჩოხა ქამარში ჩაკეცილი, ვეებერთელა ხანჯალი და ხელში გრძელი ჯოხი, შარვალი განიერ საცვეთებში ჩატანებული, ცხვრის ტყავის დიდი ქუდი, ზურგზე ხბოს ტყავის მოკნილი აბგა.

— გამარჯობათ, — რიხიანად მოგვესალმა...

— აი, იცოცხლე, ალექსავ!... — უპასუხა, როგორც თანატოლს, გაბრიელმა. ან რატომ არ უნდა ეპასუხა ასე? თითის ტოლა ბიჭი ამ მთა-ღრეში მიერეკება ათ სულ საქონელს.

*) დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 20.

ვინ როგორ კითხულობს „პიონერს".

ეს ხომ ოჯახის მთელი სიმდიდრეა!

ცხენებს თავი დაუარა გაბრიელმა და შეაყენა.

— წყაროა აქ, მეღორეების წყაროს ვეტყვით, დალიეთ, თუ გინდათ. ცოტა ზევით კი „მარტო წყაროა" — თუგინდ იქ შევისვენოთ...

ერთი ცხენი არ ისვენებს, ხან ალმა გადახტება, ხან ბუჩქნარებისკენ.

— ჰაი, რაის დარბი აცაბაცა, — შემოუტევს გაბო, — და ცხენიც სწრაფად ბილიკს შემოუსწორდება ხოლმე. — მაგას რომ ყური არ უგდოთ, მალე ალვანში დაჩნდება.

— ა, ეს ნასაყდრალია, ამბობენ აქ საყდარი იყოო, ეხლა კი არაფერი ეტყობა, ალაგ-ალაგ წვიმის წყალს ნიადაგი გადურეცხია და ტიტველი კლდენი დაურჩენია.

მიხარია, რომ გაბრიელია ჩვენი გამყოლი. ფრიად დაკვირვებული და მოფიქრებული თუშია, კარგი მცოდნე მთელი არემარის, ბუნების. კარგი მოუბარი, დინჯი და აუჩქარებელი. ყოველი მისი სიტყვა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას ჰგავს. ლაპარაკობს წმინდა ქართულს, კახური მოქცევით. მთიულური ხორხიანობა ენაში არ ჩანს. თუმც ყველა წოვა თუში ასეთ ქართულს ლაპარაკობს, რადგან მათი ენა ხომ წოურია და ქართულს კი უმთავრესად კახელისგან სწავლობენ.

ვინ როგორ კითხულობს „პიონერს"

ტყეში ნელ-ნელა ჩამოიპარა ბინდები, ბინდებ-ში ავლიეთ ჭანთის ველი.

— ბებრის ტაფზე უნდა შევისვენოთ, მეტი გზა არ არის, თორემ ტბათანამდე მეტად დაგვიღამდება და ძნელია...

გზები აქ ცუდია. დღე შეიძლება მხოლოდ მგზავრობა. ღამე არ შეიძლება: ვინ იცის, სად გადიჩეხები. დილით რომ კაცი წავა, მას გამოზომილი აქვს, სადაც უნდა მივიდეს. თუ გზაში დაატყო, რომ დანიშნულ ადგილამდე ვერ მივა, ღამის გასათევად მოხერხებულ ადგილს გაჩერდება, სადაც შეიძლება ცხენის საძოვრად გაშვება, შეშის შოვნა და უამინდობაში თავის შეფარება. და ასეთი ადგილი ყველგან როდი ჰხვდება, აქა-იქაა იშვიათად. ასეთი ადგილია ბებრის ტაფზე, და სწორედ იქ გავჩერდებით ამალამ.

მალე ავლიეთ ალმართი და მშვენიერ მოლზე გავედით. ირგვლივ უზარმაზარი წიფლის ხეებია, აქა-იქ მთის ბოყვიც, თავისი მშვენიერი ლამაზფოთლიანი ტოტებით. ჩანს, უკვე კარგა მაღლა ვართ, ალპიური ზონა დაიწყება მალე...

ერთ ბოყვის ძირში ჩამოვხადეთ ბარგი, ქალალდებს ყოველი შემთხვევისათვის ტილოები გადავაფარეთ: ვინ იცის, იქნება წვიმა მოვიდეს; აქეთ როდესაც მოვდიოდით, გომბორის ქედებზე ღრუბელი შევნიშნეთ. რო-



ვინ როგორ კითხულობს „პიონერს"

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი



სოფ. წილკანის პიონერები ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ზეიმზე.

დესაც გომბორის მთაზე ღრუბელი გაჩნდება ხოლმე, ამ მთებში წვიმა უეჭველად წამოვა. ახლაც ცა მოწმენდილია, მორაკრაკებული, მაგრამ ვნახოთ...

გაბომ ცხენები ორი ერთად გადაბა და ისე გაუშვა... შეშის ძებნას შევუდექით. ხომ არ გიკვირთ, ტყეში ვართ და მაინც ვამბობ, შეშის ძებნას შევუდექით მეთქი. ეს ხომ ღამის სათევი ადგილია. შეგვიანებული მგზავრი მზეს აქ უცდის და ამიტომ ხმელი ტოტიც აქ იშვიათია... ჩვენ კი დიდი მორები მოვათრიეთ. სამ კაცს ძლივს მიგვქონდა თითო. აქა-იქ ტოტებიც ბლომად ეყარა და მალე ცეცხლის ალმაც გაიელვა... იქვე ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ, ტაფობის ნაპირს გადმოჩუხჩუხებს მშვენიერი ცივი წყარო, მის ირგვლივ იზრდება კაცის სიმაღლე ბუერა, დუცი, დიყი და მრავალი სხვა...

ბინდი ნელ-ნელა გვეპარებოდა, და ამ დროს შემოგვესმა ცხვრის ბღავილი. ეტყობოდა, დიდი ფარა იყო. მწყემსთა კივილიც მრავლად გაისმოდა.

— ბიჭოს, ცხვარი მოუდით, კახები თუა? — სთქვა გაბრიელმა და დაიწყო ზევით მზერა.

— ვითომ რაი იცი, რომ კახებია? — ვეკითხები.

— ასე ადრე თუში არ გამორეკავს მთიდან ცხვარს, მაგათ იციან ასე. დაუბერავს თუ არა ცივი ნიავი, მაშინვე პირს ბარისკენ. იზავენ, — ცოტა არ იყოს დაცინვით სთქვა გაბრიელმა. — თუში სანამ ბალახი კარგად არ დამაჭრდება, და — ითვალს არ დასდებს, მთას არ მოსცილდება...

და ტაფობზე თეთრად ჩამოეფინა ცხვრის ფარა. თითქო ნიაღვარი მოსწყდაო მთის წვერს, ისე შემოიჭრა მწვანე მოლზე, აავსო ჰაერი ბღავილით.

ჭყივილით და კივილით ჩამოჰყვენ მწყემსები, ზურგზე გუდა-ნაბადით, გრძელი ჯოხებით.

— არ აირიოს, დაუარე, ჩიუუ... ვერანო, სად მიხვალ? — ისმოდა ირგვლივ ნაირ-ნაირი ხმაურობა.

— გაბრიელ, გამარჯობა, — ყოველი ჩამოვლილი მწყემსი ესალმებოდა გაბოს. აქ მთაში ყველა იცნობს ურთიერთს.

განზე დააბანაკეს ცხვარი, დაეყარა: შესწყდა ჭივილ-ხივილიც, ბღავილიც.

ძაღლები გარს შემოუწვენ.

— რამდენი მწყემსია, ძალიან ბევრი...

— ეგეც კახების ჩვეულებაა, ოცი ცხვარი რომ ჰყავდეს, თან მისდევს მთაში. ჩვენებმა კი მინდობა იციან. ჩააბარებენ სარქალს, და სარქალიც პირნათლად ჩააბარებს ანგარიშს, მოგებასაც, ზარალსაც...

მოვიდენ მწყემსები, მოგვესალმენ, ცეცხლი გვთხოვეს...

— შეგცივდათ, განა?.. — შეეკითხა გაბო. მიხვდა კახელი, რომ თუში დასცინოდა და მხოლოდ ღიმილით უპასუხა.

ღამის სიბნელეში ცხვარი თეთრად მოჩანდა... ისმოდა მწყემსების ხმამაღალი ლაპარაკი, ჯავრობდენ ერთმანეთში.

— აი, აგრე იციან ჭაჭყანი. არ ისვენებენ, — განაგრძობს გაბრიელი.

ამ ლაპარაკით გავიდა სიბნელეში, ცხენები მოაგროვა. დაიგვიანა კი. „ნიშა ცხენი თვალს გადაჰფარებია, ვერ ვნახე“...

მე და ლევანი გავყეთ... ჭანთოს ველამდე ვიარეთ, ცხენი იქ ვნახეთ.

ცეცხლი გუზგუზებს, ცა კი ვარსკვლავებით მოიჭედა.

მთელი სიმძაფრით განვიცდი ამ არაჩვეულებრივ ლამაზ ღამეს.

ღამე წვიმის წვეთებმა გამომაღვიძეს, რომელნიც სახეს უხვად მისველებდენ. წამოვხტი ზეზე. ზაქარია უკვე ცეცხლის პირას ზის ნაბადწამოსხმული... მოდის შხაპუნა წვიმა... გააქვთ ფოთლებს თქარათქური.

— ნახე, გომბორის ღრუბელი სად წამოგვეწია? — მეკითხება ზაქარია და ნაბადს უფრო კარგა ისწორებს. გავსინჯეთ ბარგი, არა უშავს რა, ჯერ არ სველდება.

ოთხივ მოტუზულები ვართ. ყრუდ ისმის ჩვენი საუბარი, უხალისოდ. ასე იცის წვიმამ მგზავრობაში.

უცბად წვიმის ხმაურობა დაჰფარა ძაღლების ყეფამ, მწყემსების ჭყივილმა და თოფის ხმამ, რომელმაც გააყრუა ირგვლივ ყოველივე.

— ნადირი მოუვიდათ (ნადირს მეცხვარენი მგელს ეძახიან), — სთქვა გაბომ და წამოდგა.

— ხომ არ მოგტაცათ რამ, ბიჭო? — გასძახა გაბრიელმა მეცხვარეთ.

— არაფერი, ადრე გაიგეს ძაღლებმა, — მოგვესმა სიბნელიდან.

შორს ხევიდან ისმოდა ძაღლის ყეფა.

— კაი ძაღლია, შორს გამოჰკიდებია. ასეა მეცხვარის ცხოვრება, ძნელი და უჯიათი. სხვას უფრო ძნელს ვნახავთ, — ამბობდა წყნარად გაბო და ცეცხლს ნუგუზალს უმარჯვებდა, რომელსაც წვიმამ ვერაფერი დააკლო.

მგლის გამოჩენამ ბევრი რამ სალაპარაკო გაგვიჩინა და გაადვილა გათენების მოახლოვება. მაგრამ მე არ დავუცადე, მოვიხვიე ნაბადი მეცხვარეულად და მივწექ დასაძინებლად. ყრუდ მესმოდა წვიმის წვეთების ტყლაშა-ტყლუში, გვერდზე სინესტეც ვიგრძენ, მაგრამ ამან არ შემიშალა ხელი, რომ მაინც ჩამძინებოდა.



პიონერები სწავლობენ სროლას.

დილით, რომ გავიღვიძე, წვიმას გადაეღო და ღრუბლის ნაგლეჯები ცხვრის უპატრონო ფარასავით დაეხეტებოდენ ლურჯ ცაზე.

მეცხვარენი წამოშლილიყვნენ და ემზადებოდენ წასასვლელად.

სასწრაფოდ დავასაპალნეთ ცხენები და ავყევით გზას.

ნ. კეცხოველი.



რიკტაფელობიას თამაშობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა.

ამხ. ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნისტური აღზრდა დაყრდნობილი უნდა იყოს ბავშვების და მოზარდი თაობის მიერ მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლასა და სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურ, ყოველდღიურ მონაწილეობის მიღებაზე. თითოეულმა ახალგაზრდამ ყოველდღე უნდა შეასრულოს საერთო შრომის, საერთო ამოცანის თუნდაც მცირე, პატარა ნაწილი, ე. ი., რომ ყველამ თავის ძალის, ნიჭის, უნარის, ასაკის მიხედვით რაიმე უნდა შექმნას, შესძინოს საზოგადოებას და ასე მცირე ნამუშევრებიდან საერთოდ შეიქმნება დიდი საქმე, დიადი სოციალისტური მშენებლობა.

რის გაკეთება შეუძლიათ ამ მხრივ პიონერ-ორგანიზაციას და თითოეულ პიონერს? ამის შესახებ კომკავშირის მე-VI საკავშირო ყრილობას აქვს გარკვეული დადგენილებანი: პიონერებმა და პიონერ-ორგანიზაციამ უნ-

პიონერების დროშა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

და მიიღონ აქტიური მონაწილეობა „ოჯახის ახალი ფორმების გავრცელებაში, ქუჩის ბავშვების დარაზმვაში, გლეხების კოოპერაციაში ჩაბმის საქმეში, გლეხური მასის კულტურული დონის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რევოლუციაში“, და ამავე დროს უნდა „დაეხმარონ პლაკატების, ფურცლების გაკვრაში, უწყებების დატარებაში, ყრილობათა დახმარებაში“.

ტარდება თუ არა ჩვენში ის მრავალფეროვანი და შინაარსიანი საზოგადოებრივი მუშაობა პიონერების, რომელზედაც მიუთითა მე-VI ყრილობა?

ჩვენში პიონერების საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას შემთხვევითი ხასიათი და გარეგნული ფორმა აქვს. მაგალითად, პიონერები მონაწილეობენ სხვადასხვა კამპანიების, რევოლუც. დღესასწაულების, ყრილობების ჩატარებაში და სხვა, მაგრამ ყოველდღიური, სისტემატიური მუშაობა სოფლად და ქალაქად, რომ დაეხმაროთ მუშებს და გლეხებს საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში, ოჯახის გაჯანმრთელებაში, კულტურული დონის ამაღლებაში, უპატრონო ბავშვების მოვლა-დახმარებაში და სხვა,—ასეთი მუშაობა ძლიერ და ძლიერ მოიკოჭლებს.

პიონერების საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა პირველ რიგში ბავშთა შორის უნდა წარმოებდეს: რისი გაკეთება შეიძლება ამ დარგში?

ბევრი რამის.

ჩვენს ქალაქებში და სოფლადაც ბლომად არიან უპატრონო ბავშვები, რომლებიც განიცდიან შიმშილს, სიცივეს, ქუჩაზე ჰყრიან, ავად ხდებიან, ირყვნებიან. აი ამ უპატრონო, უთვისტომო ბავშვებს ეპირვება ამხანაგური, ძმური დახმარება. პიონერებს და პიონერ-ორგანიზაციებს შეუძლიათ მათ კარგად დაეხმარონ, მაგალითად, შეაგროვონ თანხა (საღამოს მოწყობით ან სხვა გზით), ეს თანხა გადასცენ „ბავშთა მეგობართა“ საზოგადოებას, ან თვით აიყვანონ კოლექტივში ერთი ან ორი უპატრონო ბავში, ჩააცვან, აჭამონ (ზოგმა სახლიდანაც მოუტანოს რამე), სწავლის საშუალება მისცენ, ამხანაგურად, მეგობრულად მიუალერსონ და უპატრონო, ქუჩაში მოწანწალე მათხოვარი ბავში დაუბრუნონ შრომას, სწავლას, ბავშთა წრეს, კოლექტივს, რომ მომავალში ის შეიქნეს საზოგადოების სასარგებლო წევრი.

ვისაც განუცდია შიმშილი, სიცივე, სიტიტვლე, სიბინძურეში ცხოვრება, ქუჩაზე ღამის გათევა სუსხიან ზამთარში, ან შეუძლია ამ ტანჯვის წარმოდგენა, ვისაც უნდა, რომ ჰყავდეს საყვარელი ამხანაგები, მიეცეს საერთო სიმხიარულეს, შრომას, ბედნიერებას,—მან არასდროს არ უნდა დაივიწყოს თავისი პაწია მეგობრები, ქუჩაზე მოხეტიალე, დედ-მამის და ამხანაგების ალერს-სიყვარულს მოკლებული ბავშები და რაიმე პრაქტიკული უნდა გააკეთოს ამ პაწია ტანჯული ძმების ჯოჯოხეთური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საბჭოთა მთავრობა აუარებელ თანხას ხარჯავს ბავშების უპატრონობის მოსასპობლად. ამხ. ლენინის ერთ-ერთი ანდერძი ამას გვიკარნახებს, მაგრამ თვით პიონერებმა, პიონერ-ორგანიზაციამაც აუცილებლად უნდა შეიტანონ თავისი წვლილი ამ დიად საქმეში—პატარა ადამიანების გადარჩენაში.

სოფლად მოსავლის აღების დროს გაცხოველებული მუშაობაა; ყველა მოზრდილნი მიდიან სამუშაოდ, შინ ხშირად უპატრონოდ რჩებიან ბავშები, რის გამოც ხშირად ხდება რაიმე მარცხი—რაიმეს დაიზიანებენ, გადმოვარდებიან, დაიმტვრევიან და სხვა.

აი, სწორედ აქ შეუძლიათ პიონერებს, პიონერ-კოლექტივებს დიდი დახმარება გაუწიონ იმ დედებს, რომლებიც იძულებულნი არიან მიატოვონ დროებით ბავშები; საჭიროა ამ საკითხსაც ჩაუფიქრდენ პიონერები.

ავიღოთ თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სკოლებში საუზმეების (ცხელი ანც ივი) მოწყობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშების ჯანმრთელობისათვის, მით უმეტეს ისეთ რაიონებში, სადაც ბავშები ჰავის გამო დასნეულებულნი და დაავადებულნი არიან, მაგალითად, მალარიან რაიონებში. პიონერებმა უნდა გამოიჩინონ დიდი აქტივობა, თაოსნობა, ენერგია, უნდა შესძრან, შეატრიალონ ყველანი: არადარაზმულნი ბავშები, მასწავლებლობა, ექიმები, მშობლები, პარტკომკავშირის უჯრედები, აღმასკომები, კოოპერაცია, გლეხკომები, დელეგატთა კრებები, პროფკავშირები და სხვა, უნდა გასწირონ ენერგიული აგიტაცია შინ, კრებებზე, კედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გაზეთებში და აუცილებლად უნდა მოაწყონ ეს საუზმეები სკოლებში.

პიონერებმა უნდა დაიწყონ ეს საქმე, სკოლა მათ გაჰყვება, საბჭოთა საზოგადოება და ორგანიზაციები დაეხმარებიან. აი ეს არის მაგალითი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა. ასეთი შრომის მაგალითი ბევრია ტფილისში, საჭიროა მას მიბაძონ სხვა ქალაქებმა და სოფლებმაც.

ახლა ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, თუ რა უნდა გააკეთონ პიონერებმა მოზრდილ მოსახლეობაში.

ავიღოთ სოფლის პირობები. ყველაზე დიდი ასპარეზი იხსნება აქ პიონერის და პიონერ-ორგანიზაციის წინაშე—სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის და კულტურის შემოღების საქმეში. მაგალითად, ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს ფრინველების მოშენებას (მაგ. ქათმისას); ქათამი, თუ კარგად მოვუვლით, დიდ სარგებლობას იძლევა.

ჩვენში ქათმის მოვლა არ იციან, ქათამი სჭამს იმას, რასაც თვითონ იშოვნის, ხან სხვის ეზოში, ან ვენახ-ყანაში გადაფრინდება, ზამთარში ხეებზე ღამეს ათევს, ან ცხოვრობს ბინძურ საქათმეში, სადაც საშინელი სუნი და სიბინძურე სუფევს.

ცხადია, ასეთ პირობებში ქათამი მჭლე და უდღეური გამოდის, კვერცხს იძლევა ცოტას და მჩატეს, ხშირად ავადმყოფობა მუსრს ავლებს მას და წიწილებს. ამ დარგში პიონერს და კოლექტივს დიდის რამის გაკეთება შეუძლიათ საამისო აგრონომიული წიგნების წაკითხვით, აგრონომისაგან მუდამ რჩევა-დარიგების მიღებით. მაგ., შეიძლება კოლექტივებს და პიონერებსაც ჰყავდეთ წიწილები-ქათმები, რომლებსაც საჭმელი მიეცემათ ნორმით, გაკეთებული იქნება მათთვის სუფთა და თბილი საქათმეები და სხვა. მერე საჭიროა ეს გამოცდილება ფართოდ გაშუქებული და გადატანილი იყოს მთელ სოფელში.

ავიღოთ ძროხის, ხარის, ცხენის, გოჭების, ხბოების მოვლა-გაზრდა. ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ პიონერების მიერ მოვლილი გოჭები და ხბოები მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებდენ თავისი წონით, სისუფთავით, სიმაღლით და სხვა, და პრემიებს, საჩუქარებს იღებდენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე. ამისათვის საჭიროა მხოლოდ პიონერებმა და კოლექტივებმა ამას ენერგიულად მოჰკიდონ ხელი, წაიკითხონ საამისო წიგნები, შეეკითხონ მოწინავე გლეხებს, მასწავლებლებს, აგრონომებს. კოლექტივმა უნდა მისცეს მითითებანი პიონერებს ამის შესახებ და შემდეგ გაუწიოს კონტროლი, თუ როგორ სრულდება ეს პრაქტიკული მითითებანი აგრონომიული ხასიათისა პიონერების მიერ. უნდა მოეთხოვოს პიონერებს ანგარიშიც.

ტყის, ამ უდიდესი განძის, დაცვა გაჩეხისაგან, ცეცხლის ხულიგნური წაკიდებისაგან, საერთოდ ველური მოპყრობისაგან, დაცვა ადამიანისა და მეურნეობისათვის სასარგებლო **ფრინველებისა**, დაცვა მათი ბუდეებისა, ზამთარში მათი მოვლა ბინის და საკენკის დამზადების სახით,—აი, რაა შესაძლო და საგალდებულო პიონერებისათვის, თუ მათ სურთ რაიმე წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.

ავიღოთ ახლა ჩვენი სოფლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. პიონერებს წესებში უწერიათ, რომ ისინი იცავენ სისუფთავეს ტანისამოსის, ტანის და სხვა, მაგრამ ჯერ კიდევ სადაო საკითხია, აქვს თუ არა ყველა პიონერს ცალკე კბილის ჩოთქი, ცალკე პირსახოცი, იბანს თუ არა ის ხელებს სადილის წინ და შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, თუ თითოეული პიონერი ამას ასრულებს და ამას ამ მხრივ კონტროლს უკეთებენ პიონერ-კოლექტივები, მაშინ უნდა შეეკითხოთ ჩვენ პიონერებს: რას აკეთებენ ისინი სოფლის მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში? მაგალითად, რა გააკეთა ამა თუ იმ პიონერმა, ან კოლექტივმა, რომ საპონი შეეჩრილიყო ყოველ სოფელში და გლეხის ოჯახში? ჩვენ ვიცით, რომ არის ისეთი სოფლები და გლეხის ოჯახები, სადაც საპონი ან სრულიად არ იციან, ან საპონი არ არის ხშირი სტუმარი. პიონერების ამოცანაა: საპნის მნიშვნელობის და საჭიროების აგიტაცია და პროპაგანდა ოჯახში, სკოლაში, კრებაზე, მშობლებთა შეკრებაზე, კოოპერაციაში (რომ მან გამოიწეროს იაფი საპონი), აღრიცხვა იმისა, თუ რამდენი საპონი იხარჯება ამ სოფელში და რატომ იხარჯება ასე ცოტა. შემდეგ ახსნა-განმარტების გაწევა, რომ საჭიროა ოჯახის თითოეულ წევრს, ყოველ შემთხვევაში ავადმყოფებს, ჰქონდეთ ცალკე პირსახოცი, ვინაიდან საერთო პირსახოცით ვრცელდება გადამდები სნეულებანი, საჭიროა აგრეთვე ცალკე თეფშები ყველასთვის, სასტიკი ბრძოლა საერთო ფინჯნების და თეფშების წინააღმდეგ, ბრძოლა იაფი პირსაბნების შესაძენად, ბრძოლა პირის ბანის უკულტურო წესის წინააღმდეგ (პირში დაიგუბებენ წყალს და შემდეგ ისხამენ ხელზე, იბანენ პირში უკვე გაბინძურებული წყლით), ბრძოლა ყოველ ეზოში ფეხსაბანი ადგილის მოსაწყობად, რისი უქონლობა იწვევს დიდ სიბინძურეს და ჰქმნის ავადმყოფობის და ეპიდემიების კერას.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარება ძნელი არ არის, ამავე დროს ხელს შეუწყობს ახალი, გაჯანსაღებული სოფლის შექმნას (აქვე საჭიროა აღვნიშნოთ დაუზოგველი ბრძოლა ერთ დიდ უბედურებასთან—ესაა საცხოვრებელ ბინაში ზამთრობით საქონლის, პირუტყვების ყოლა (ან: ქვედა სართულში საქონელი, ზედა კი საცხოვრებელი ბინა. ამისი შედეგია საშინელი სუნი, რომელიც პირდაპირ უხსნის გზას ჭლექს).

სხვაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება სოფლად და ქალაქად, თუკი საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას პიონერები და პიონერ-ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ და აწარმოებენ არა დღესასწაულებში, არამედ სისტემატიურად, ყოველდღიურად.

ვ. იმედაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უვლიან და ეხმარებიან უპატრონო ბავშვებს.

18-19-20 ნოემბერს ტარდება „ბავშთა მეგობრების“ საზოგადოების სამდღიური.

ამ სამდღიურმა უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ ეპყრობა შრომელი ხალხი ერთ-ერთ უსაშინელეს სოციალურ უბედურებათაგანს, როგორიც არის ბავშთა უპატრონობა.

აუცილებლად ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, და მით უმეტეს პიონერებს, ბავშთა მოწინავე რაზმს, რომ ბავშთა უპატრონობა მემკვიდრეობაა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისა და აგრეთვე იმ უბედურებათა, როგორიცაა 1921 წლის შიმშილი საბჭოთა რუსეთში, მიწისძვრა ლენინაკანში და სხვა.

იმ მიზნით, რომ მომავალი საზოგადოებისათვის გადარჩენილ და შენარჩუნებულ იქნან უპატრონო ბავშები და აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოება დაცულ იქნას სოციალურად საშიში ელემენტებისაგან (ქურდ-ბაცაცებისაგან, ყაჩაღებისაგან, კაცის მკვლელებისაგან და სხვ.), როგორიც იქნებიან და როგორიც ნაწილობრივ ახლაც არიან უპატრონო ბავშები, საბჭოთა ხელისუფლება დიდ ენერგიას იჩენს და აუარებელ თანხას ხარჯავს ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის: ის აწყობს ბავშთა სახლებს, კოლონიებს, სახელოსნოებს და სხვ. მაგრამ გაჭირვება იმდენად დიდია, უპატრონო ბავში ისე მრავალია, რომ ხელისუფლების მიერ გაღებული თანხები ვერ აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას.

ამიტომ ამ საქმეში აუცილებლად საჭიროა საზოგადოების ინტერესი, საზოგადოების დახმარება და თვითმოქმედება, პირველ რიგში კი, რასაკვირველია, პიონერების კოლექტივების და ფორპოსტების.

რაში უნდა გამოიხატოს პიონერის მუშაობა ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლაში.

უპირველეს ყოვლისა, ის შეიძლება გამოიხატოს „ბავშთა მეგობრების“ საზოგადოების უჯრედის მოწყობაში, „ბავშთა მეგობრების“ საზოგადოებაში წევრად ჩაწერაში, წარმოდგენების მოწყობაში, შემოწირულებათა შეგროვებაში და სხვ.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. პიონერებმა უპატრონო ბავშთა შორის, რამდენადაც შესაძლებელია, აღმზრდელობითი მუშაობაც უნდა აწარმოონ.

უპატრონო ბავშები, როგორც ვიცით, ქუჩებში ეძებენ გართობას. აი, ამ მდგომარეობით უნდა ისარგებლონ პიონერებმა.

პიონერ-ორგანიზაციებს ხომ აქვთ მთელი რიგი ისეთი თამაშობისა, რომელიც ყოველმხრივ გამოსადეგია ბავშებისათვის. ამიტომ, ჩვენი აზრით, ძნელი არ იქნება ასეთი ბავშების ჩაბმა ორგანიზაციაში.

ვთქვათ, უპატრონო ბავშებმა თავი მოიყარეს რომელიმე ეზოში სათამაშოდ; მაშინ ამ თამაშობა-



ამხ. ს. წულუკიძის სახელობის საბავშო სახლი ქუთაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ერევიან ამავე ან მეზობელ ეზოში მცხოვრები პიონერები და ცდილობენ ბავშების ყურადღება მიქციონ და თამაშობა ისე წაიყვანონ, რომ ყველანი დაინტერესონ.

როდესაც პიონერები უპატრონო ბავშებში ავტორიტეტს მოიპოვებენ, მათ შეუძლიათ გადავიდენ სხვა რთულ მუშაობაზე. მუშაობის ასეთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს პიონერების მიერ კოლექტივის ცხოვრებიდან სხვადასხვა ამბების მოყოლა, მათი დასწრება კრებებზე და სხვა.

ამგვარი მუშაობით პიონერებს შეუძლიათ ეს ბავშები სრულიად მოსწყვიტონ ქუჩას და საზოგადოებისთვის სასარგებლო პირებად აქციონ.

აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ და რა საშვალებებით ეხმარება „ბავშთა მეგობრების საზოგადოება“ უპატრონო ბავშებს.

„ბავშთა მეგობრების საზოგადოების“ გამგეობის მუშაობა მიმართულია, ერთი მხრით, თავის წევრთა აქტიობის გაძლიერების და ძირითადი ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებისაკენ და, მეორე მხრით, საშვალებათა გამოძებნისაკენ საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამჟამად საზოგადოების უჯრედების რიცხვი აღწევს 204, რომელიც აერთიანებს 16000 წევრს. წევრების 60 პროცენტს ქალები შეადგენენ.

საზოგადოების საშუალებანი შესდგებიან საწევრო ანარიცხებისა, სხვადასხვა შენაკრეფისა (სამდღიური) და შემოწირულებისაგან. მაგრამ საზოგადოებას ეს წყაროები ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ უხდება მიმართოს მთავრობის დახმარებას. მაგ. 1927 წლის პირველი აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე მიღებულია მთავრობისაგან დახმარება 30.000 მანეთის რაოდენობით. ამავე ხნის განმავლობაში საბავშო სახლების შესანახავად დახარჯულია 27.173 მანეთი, საბავშო სახლების მოსაწყობად 9.446 მანეთი, ლენინაკანს დასახმარებლად მიეცა 1.215 მანეთი, განათლების სახკომისარიატის კოლექტორს— 600 მანეთი და სხვ. სულ დახარჯულია 47.999 მანეთი.

საზოგადოება უმთავრეს დახმარებას უწევს საბავშო სახლებს, რომლების შენახვა წლიურად ჯდება დაახლ[illegible]00 მანეთი. საბავშო სახლებში ბავშების ფიზიკური აღზრდის გარდა მთავარი ყურადღება ექცევა სასწავლო აღმზრდელობითს მუშაობას; ამ მხრივ საბავშო სახლები იმყოფებიან ტფილისის აღმასკომის განათლების უშუალო მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის ქვეშ. ბავშების მოსამზადებლად დამოუკიდებელი შრომისათვის საბავშო სახლებთან მოწყობილია სხვადასხვა სახელოსნო, სადაც ბავშები სწავლობენ სხვადასხვა ხელობას.

უპატრონო ბავშები ქუჩაში.

საზოგადოების საბავშო სახლებში იმყოფება 150 ბავში, მაგრამ გამგეობას ეს რიცხვი არ მიაჩნია საკმარისად, მაგრამ გამგეობას მეტი შეძლება არ ჰქონდა, იგი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებდა უპარტრონო ბავშებს შორის პროფილაქტიურ ღონისძიებათა და ინდივიდუალური დახმარების დარგში. ამ მიმართულებით შესრულებულია შემდეგი მუშაობა:

1) განათლების კომისარიატის საშუალებით სამშობლოში გაგზავნილია უპატრონო ბავშთა მნიშვნელოვანი რიცხვი. 2) პროლეტარულ ოჯახებს შვილობილად მიეცა 11 ბავში, 3) 43 მოზარდი ბავში მიეცა ხელობის შესასწავლად შინამრეწველებს, რომელთაც საზოგადოება თითოეული ბავშის გაწვრთნისათვის ყოველთვიურად აძლევს 11 მანეთიდან 13 მანეთამდე. 4) საზოგადოებამ ჩააცვა-დაახურა 150 ბავშს. ბავშთა მეგობრებო, დააბრუნეთ უპატრონო ბავშები მშრომელთა რიგებში!

საბჭოთა საქართველოს ნორჩო თაობავ, არ დაივიწყო, რომ დახმარება უნდა აღმოუჩინო უპატრონო ბავშებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ძმეები მსოფლიოში.

გერმანიის პიონერების წერილი ქ. ბათუმის პიონერებს.

ძვირფასო ამხანაგებო!..

თქვენი წერილი ჩვენ მიერ სიხარულით იქნა მიღებული. ის გამოგვიგზავნეს რეინზე დიუსელდორფში ბერლინიდან, სკოლის უჯრედში. მივიღეთ თუ არა თქვენი წერილი, ჩვენ მაშინვე რუკაზე მოვძებნეთ თქვენი ადგილმდებარეობა და ის გზა, რომელიც ერთმანეთს გვაშორებს.

ჩვენ წარმოვიდგინეთ ჩვენი თავი თვითმფრინავით მსრბოლავი ჰაერში, გადავიქროლეთ გერმანია, პოლონეთი, ბელორუსეთი, უკრაინა და მოვქრიალართ თქვენსკენ, შავი ზღვის ნაპირას. ვამაყობთ იმით, რომ თქვენი წერილის შემწეობით გავიგეთ, თუ რა ერები ცხოვრობენ თქვენს მხარეში. ეს ვუამბეთ ჩვენს სკოლის ამხანაგებს, მათ ძლიერ გაუკვირდათ და შეგვეკითხენ, თუ საიდან ვიცით ყოველივე ეს. მაშინ ვუჩვენეთ მათ თქვენი წერილი. უნდა გენახათ განცვიფრება, რომელიც გამოიწვია ამან მათში.

ჩვენც 15—22 მაისამდე ვატარებთ „ბავშთა საერთაშორისო კვირეულს“, ამ დღეებისათვის მოვიწვიეთ ორი ფრანგი პიონერი, ვაჟი და ქალი. ისინი ჩამოვიდენ პარიზიდან და დაჰყვეს ჩვენთან ბანაკში 8 [illegible]ლე. დავმეგობრდით და ახლა ერთმანეთს ვუგზ[illegible] წერილებსა და ფოტოგრაფიულ სურათებს. ჩვ[illegible] მონაწილეობას ვიღებთ ჩინელებთან ძმობასა და დობაში. ვიცით, რომ ჩინელი ბავშვების ცხოვრება უფრო მძიმეა, ვიდრე რომელიმე ჩვენგანის. ბევრი მათგანი, ჯერ კიდევ 4 წლისანი, იწყებს მუშაობას სხვადასხვა ფაბრიკასა და მაღაროში. მათ ცხოვრებაში სასიხარულო არაფერი აქვთ და ამიტომაც მათი მშობლები მართალნი არიან, როდესაც რევოლუციას ახდენენ. ჩვენ ვაგროვებთ ფულს მისთვის, რომ მოვამზადოთ ხუთასი სანიტარი და გავგზავნოთ ჩინეთში რევოლუციონური არმიის დასახმარებლად.

თქვენ, ცხადია, მოისურვებდით, რომ ბევრი რამ იცოდეთ ჩვენს შესახებ. ჩვენი ქალაქი მდებარეობს რეინისა და ვესტფალის საწარმოო რაიონში, რურის ქვანახშირის რაიონის საზღვართან, მეტალურგიული ქარხნების ახლოს. ჩვენში ძლიერ განვითარებულია მეტალურგიული წარმოება, მძიმე ინდუსტრია. ბევრი ჩვენთაგანის მშობლები მუშაობენ დიდ ქარხნებში, მაგრამ უკანასკნელ წლებში გამოგონილ იქნა მრავალი კარგი მანქანა; კაპიტალისტები ამას უწოდებენ წარმოების განვითარებას, რაციონალიზაციას. ეს რაციონალიზაცია ხელსაყრელია მხოლოდ კაპიტალისტებისათვის: ათასობით მუშები უმუშევრად რჩებიან. ჩვენს ქალაქში 449 ათასი მცხოვრებია, მათგან 60 ათასი უმუშევარია. თუ თქვენ გაინტერესებსთ ყველა ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები, მოგვწერეთ და გაგიზიარებთ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეტად გაგვაოცა ერთმა საქმემ. აქ არის ერთი კარგა დიდი ქარხანა. ომის წინაც და შემდეგაც აქ მზადდებოდა სარკინისგზო რონოდები და ლოკომოტივები. ამ ქარხნის მეპატრონე მეტად კრიჟანგი და მსუნაგი ადამიანი იყო. ძალიან ჩქარობდა წარმოებაში. ამზადებდა ძლიერ ბევრს და ამავე დროს ცუდს. ბოლოს და ბოლოს მისგან საქონლის ყიდვას ყველამ თავი მიანება.

მაშინ მან წინადადება გაგზავნა საბჭოთა რუსეთში, რომ მათ წაეღოთ მისგან ის 70 ლოკომო-

ტივი, რომელიც შეკვეთილი იყო მათგან. ლოკომოტივები ქარხნის პატრონმა გადაგზავნა კიდეც ბერლინში, რომ საბჭოთა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელს გაესინჯა. იქ აღმოჩნდა, რომ 60 ლოკომოტივი ყოვლად უვარგისი იყო. მესაკუთრე კი ფიქრობდა მთელი თავისი ქარხანა რუსეთში გაეყიდა. ჩვენ ვიცით, რომ თქვენს ქვეყანაში ძალიან ცოტა მანქანაა და დიდი დახმარების გაწევა შეგვიძლია. იმ ქარხანაში, რომელზედაც გწერთ, მრავალი რუსი ჩამოდის, ისინი ჩუმად და დამშვიდებით ათვალიერებენ ყველაფერს და როდესაც ბრუნდებიან რუსეთში, სწერენ მესაკუთრეს: „ჩვენ ვნახეთ, რომ თქვენს ქარხანაში მხოლოდ ძველი მანქანებია, რომლებიც ჩვენ არ გვესაჭიროება, ჩვენ გვირჩევნია მივცეთ მეტი ფასი და უკეთესი ვიყიდოთ“. განა ეს დიდებული ამბავი არ არის? გვგონია, რომ ეს თქვენც გაგახარებსთ.

გუშინ სკოლის მოწაფენი წავედით ქალაქის გარეთ, რომ გვენახა, თუ რა მოსავალია ველებზე. ჩვენ ჩავუარეთ კართოფილის ნათეს ველს, იგი ავსებულიყო ზედმეტი ბალხით, რომელსაც მოხუცი გლეჯდა, ასუფთავებდა. ძლიერ ცხელოდა. მაგრამ არა ვართ ზანტები, დავესიენით ყველანი და მივეხმარეთ მოხუცს. ის განცვიფრებისაგან გაშეშდა. მას ამის მაგვარი თავის სიცოცხლეში არაფერი არ უნახავს. ის არ უჯერიდა თავის თვალებს. მან გვიამბო ჩვენ, რომ იგი მუშაობდა ერთ-ერთ ქარხანაში 32 წელიწადი, რომ ახლა უმუშევარია და გლეხებს ეხეიფება სოფლის მეურნეობაში. ის ბედნიერი იყო მოულოდნელი დახმარების გაწევით.

ძვირფასო ამხანაგებო!

ძლიერ მოხარულები ვართ თქვენთან კავშირის გაბმით. დღევანდელ დღეს ეს აუცილებელია, იმიტომ რომ მთელი კაპიტალისტური ქვეყნები აპირებენ ჩვენს წინააღმდეგ ომის წარმოებას. მათ უნდათ თქვენთან ომის წარმოება იმიტომ, რომ ხელს უწყობთ ჩინეთის რევოლუციონერებს და კიდევ იმიტომ, რომ თქვენში საბჭოთა ხელისუფლებაა და კაპიტალისტებს კი არ უნდათ, რომ მათაც ასე ჰქონდეთ. ისინი ჩვენთანაც აპირებენ ომს. მაგრამ ჩვენ, გერმანეთის პიონერებს, არ გვეშინია და ვიბრძოლებთ, რადგან ვიცით, რომ თქვენ დაგვეხმარებით. მაგრამ თუ თქვენ დაგამარცხებენ, არავითარი იმედი აღარ გვექნება განთავისუფლებისა.

ჩვენ წავესაუბრებით პროლეტართა ბავშვებს და ვეტყვით მათ, რომ თუ იქნება ომი, არ უნდა ესროლონ საკუთარ ძმებს, არამედ უნდა შეებძოლონ ბურჟუებსა და კაპიტალისტებს. ჩვენ ავუხსნით, რომ მუშებს იგივე უფლებები აქვთ, რაც კაპიტალისტებს, და რომ კაპიტალისტები ამ ადამიანურ უფლებას ფეხქვეშ სთელავენ და სჩაგრავენ მუშებს. ვეტყვით, რომ ჩვენ ეს არ გვინდა, და გვინდა, რომ ყველანი თანასწორი იყონ.

ახლა ყოველ წუთში მოსალოდნელია ომის დაწყება. კაპიტალისტების ბრძანებით გერმანეთის მუშებიც წავლენ ომში, მაგრამ ისინი თქვენ არ გესვრიან, არამედ შემოტრიალდებიან და დაუწყებენ სროლას კაპიტალისტებს და მიახწევენ იმას, რომ მთელ მსოფლიოში ყველა თანასწორი იყოს, და მოხდება მსოფლიო რევოლუცია.

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას!.

ჩვენ ვამთავრებთ წერილს ძლევამოსილი თქმით: „იყავ მზად“.

დიუსელდორფის ადგილობრივი პიონერჯგუფი.

საქართველოს პიონერებო! გააბით ინტერნაციონალური კავშირი სხვა ქვეყნის პიონერებთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება.

როგორ მოვაწყეთ საშინაო ლაბორატორია და ქიმიის მოყვარულთა წრე.

(ტფილისი, მე-3 რაიონი, პირველი კოლექტივი)

ქიმიისა და ქიმიური ომის შესახებ სწერდენ გაზეთებშიც, ჟურნალებშიც, ერთი სიტყვით, მასზე ლაპარაკობდენ ყველგან: ქუჩაშიც, სახლშიც და კოლექტივშიაც. პირადად მე ჟურნალში წავიკითხე მომავალი ომის შესახებ რამდენიმე წერილი, რამაც მაიძულა ქიმიით დავინტერესებულიყავი. ინგლისის პიონერთა შეხვედრის დროს სხვებთან ერთად მეც მივიღე ფურცელი, რაშიც იწერა ირმტრების შესახებ. ეს იყო იმის საბაბად, რომ მე დამეწყო ქიმიის პრაქტიკულად შესწავლა.

ვიშოვე წიგნები: 1. „მოხალისის ქიმიური ლაბორატორია"—რიუმინის, 2. „ჰაბუკი ქიმიკოსის პირველი ნაბიჯები"—კაზაჩენკოსი, რომლებშიც წავიკითხე, თუ როგორ ეწყობა საშინაო ლაბორატორია.

გავაკეთე დაზგა, შევაგროვე ყველა ის მინის ჭურჭელი, რომელიც მოიპოვებოდა ჩვენს ოჯახში, ვიშოვე აგრეთვე მინის და რეზინის მილები, ვიყიდე ზოგიერთი წამალი და შევუდექი მუშაობას. პირველ რიგში მოვახდინე შემდეგი ცდები: მოპოვება: მჟავბადის, წყალბადის, ნახშირმჟავა აირის, ქლორის და მგრგვინავი აირის.

ქიმია ისეთი მიმზიდველი მეცნიერებაა, რომ მე თანდათანობით უფრო დავინტერესდი მით. ჩემი ნაცნობები, რომელთაც ნახეს ჩემი ასე გართობა, დასახმარებლად მოვიდენ ჩემთან. ზოგმა მომცა ისეთი ნაერთები, რომლებიც აუცილებელია ქიმიური ცდებ სათვის, ზოგმა კიდევ სასწორი მათხოვა, ოაც აგრეთვე დიდ საჭიროებას წარმოადგენს, რამაც უფრო გააუმჯობესა და გაანაყოფიერა ჩემი მუშაობა.

ჩემთან ხშირად მოდიოდენ ამხანაგები, რომელთაც ვაჩვენებდი სხვადასხვა ცდას. როდესაც ასეთი მნახველები ძალიან გახშირდენ, მაშინ უკვე კოლექტივთან დავაარსე მოხალისეთა ქიმიური წრე, სადაც მათთან ერთად მოვაწყე ლაბორატორია და გავაჩაღეთ მუშაობა.

ცდები ჩვენ მიერ კეთდებოდა ცოცხლად, მასში მონაწილეობას იღებდენ წრის წევრები. ყოველი წევრი ამ საქმეს მეტად სერიოზულად ეკიდება. ვმუშაობთ მეგობრულად და ამასთანავე ერთად დღითიდღე უფრო ღრმად გვაინტერესებს ჩვენ მიერ დაწყებული საქმე.

ა. ბ.

სასოფლო-სამეურნეო მუშაობა და პიონერები.

(აფხაზეთი)

სასოფლო მეურნეობის აწევაში და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვებიც, სახელდობრ—პიონერები, რომელნიც არიან ოჯახში ერთადერთი გამტარებლები როგორც ახალი ყოფის, ისე პატარა აგიტატორები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა.

დანდის კოლექტივში პიონერები დადიან არა მარტო შკოლებებზე, არამედ ისინი შეუკავშირებელ ბავშვებთან და თავიანთ მშობლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ მინდვრის მუშაობაში. ასე, მაგალითად, ზოგიერთი შეუკავშირებელი ბავშვები სწევდენ თუთუნს, მაგრამ როდესაც მათ დაიწყეს პიონერებთან დაახლოვება, მაშინ წევა ნელ-ნელა გადააგდეს. ზოგიერთი პიონერები მიდიან და შველიან მუშაობაში თავის ამხანაგებს, ზოგჯერ ჯგუფად მივლენ რომელიმე ღარიბ გლეხთან თამბაქოს რჩევაში და სხვა სამუშაოში მისახმარებლად. ამ მუშაობით ისინი ერთგულად შველიან მშრომელებს და სწავლობენ კიდეც მუშაობას.

ბ.

ჩვენი კავშირი.

(აფხაზეთი)

ნორჩ პიონერთა მე-7 კოლექტივი (კომუნის სკოლასთან) მიმაგრებულია მე-4 როტასთან.

ჩვენ თავიდანვე ძალიან ვმეგობრობდით წითელარმიელებთან და ბევრი საღამო გავატარეთ მათთან. ამ საღამოებზე ისინი გადმოგვცემდენ თავის სამხედრო ცოდნას, რაც მისცა მათ წითელ არმიაში სამხედრო სამსახურმა. ისინი გვიჩვენებდენ, თუ როგორ უნდა ხმარება „შაშხანის", ტყვიისმფრქვეველის და გვაცნობდენ მათ მექანიზმს. ჩვენც ვმართავდით თვითმოქმედების საღამოებს წითელარმიელებთან ერთად, საღამოებზე ჩვენ მათ ვუამბობდით ჩვენს ცხოვრებაზე სკოლაში.

ჩვენ მათ ჩვენი შეკავშირებითა და სიმტკიცით ვაგრძნობინეთ, თუ რა არის პიონერი და პიონერორგანიზაცია.

ჩვენც ბევრი ვისწავლეთ მათგან.

ნორჩი წითელარმიელი.

ჩვენი კოლექტივის მუშაობა ფართოვდება.

(გურია, ჩოჩხათის კოლექტივი)

ჩოჩხათის თემში ორი კოლექტივი არსებობს „სტალინის“ და „კ. მარქსის“. გასულ წელს მუშაობა ძალიან მოისუსტებდა, წელს კი კოლექტივები მიმაგრებულია კომ. კავშირის უჯრედებზე, რომელთაც უკანასკნელი უწევს ყოველმხრივ დახმარებას. კომ. კავშირიდან გამოყოფილმა ამხანაგებმა გაინაწილეს ვალდებულებანი. სკოლაში მუშაობის ორგანიზაციის გასაძლიერებლად დაარსდა ფორპოსტი. ვუშვებთ თვიურ კედლის გაზეთს „ნორჩ ძალას“, რომელშიაც პიონერები უახლოეს მონაწილეობას იღებენ. ვღებულობთ ჟურნალ „პიონერს“, რომელიც ვრცელდება პიონერებში. ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ არ გვაქვს კლუბი და სათანადო ლიტერატურა.

პიკორი **შოთა როყვა.**

წინ მივდივართ.

(ქ. ბორჯომი)

ქ. ბორჯომის 7-წლედთან არსებული „პარიზის კომუნის“ სახელობის ნ. პიონერთა კოლექტივის მუშაობა არდადეგების გამო მოიკოჭლებდა, მაგრამ სწავლის დაწყების შემდეგ კოლექტივი ნორმალურ პირობებში ჩადგა. წელს მას მოემატა რამოდენიმე ახალი წევრი და თუ შარშან 40 პიონერს აერთიანებდა, ახლა მათი რიცხვი 75 აღემატება; მათ შორის 25-30 ოქტომბრელია. კოლექტივი დაყოფილია რგოლებად, ოქტომბრელთა ჯგუფი კი ვარსკვლავებად, სადაც მიმაგრებულია გამოცდილია ხელმძღვანელი; მეცადინეობა სათანადო ტემპით მიმდინარეობს. კოლექტივს დიდ დახმარებას უწევს რაიბიურო.

ვუსურვებთ ჩვენს კოლექტივს და მათ ხელძღვანელთ შემდეგშიც გულმოდგინედ მუშაობას.

პიკორი პავლე ბლიაძე.

ჩვენი ორგანიზაცია

(ს. ახალდაბა)

როგორც სხვა რაიონებში, ისე ჩვენ თემშიც მოისუსტებდა ნ. პ. შორის მუშაობა ზაფხულში, არდადეგების შემდეგ, სწავლის დაწყებისას კი ა. ლ. კ. კ. უჯრედებმა გამოჰყვეს ახალი ხელმძღვანელები და პიონერთა წრის მომუშავე კომისია, რომელმაც კოლექტივი გაჰყო რგოლებად და თითოეულ რგოლს გამოცდილი მომუშავე მიუჩინა.

წელს ჩვენი სოფლის ნ. პ. ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა და გააერთიანა 160-მდე ნორჩი პიონერი, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ ყოველგვარ საქმიანობაში: ახალი კოლექტივის ხელმძღვანელი კ-მკავშირის წევრია და, იმედი გვაქვს, შარშანდელთან შედარებით ის წელს უფრო გააღრმავებს პიონერთა შორის მუშაობას და კომკავშირს მისცემს კომუნისტურად აღზრდილ პირებს.

პიკორი **პავლე ბლიაძე.**

წებელდის პიონერები.

(აფხაზეთი)

სოფ. წებელდის ნორჩ პიონერთა კოლექტივი არსებობს თიქმის სამი წელიწადია, ხოლო ბოლოოდ ჩამოყალიბდა მხოლოდ 1927 წ. თებერვალში.

კოლექტივი აერთიანებს სულ 25 პიონერს, რომელთაგანაც 15 გოგოა, დანარჩენები ბიჭები; სოციალური მდგომარეობით ბავშვები ასე ნაწილდებიან: 22 ღარიბის შვილია, 2 საშუალო შეძლების მქონე გლეხის და 1 ხუცესის შვილი. მეცადინეობა წარმოებს სომხურ და რუსულ ენებზე. პიონერების ავტორიტეტი მოსახლეობაში დიდია. წითელი კუთხე არა გვაქვს, მეცადინეობა წარმოებს სკოლაში. მიუხედავად შეფის უყოლობისა და აგრეთვე სუსტი ხელმძღვანელობისა ლ. ა. კ. კ. უჯრედის მიერ, კოლექტივი თავისი ძალებით იკვლევს გზას თავისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ადგილებზე არსებულ დაწესებულებებს არ სურთ შეფობის აღება კოლექტივზე, და „ამართლებენ“ ამ საქციელს იმით, რომ არა აქვთ უფლება შეფობის გაწევისა, რა ორგანიზაციაც გინდა იყოსო.

საბე-კვადოურის პიონერები.

(შორაპნის მაზრა)

6 თვეა, რაც საბე-კვადოურში ჩამოყალიბებულია პიონერ-კოლექტივი. მასში ირიცხება 64 პიონერი.

პიონერებმა კოლექტიურად დაამუშავეს სასწავლებლის ეზო, სადაც მოუვიდათ 2 ძარი სიმინდი; გავიდენ გზებში სამუშაოდ. აგრეთვე იქნა ჩატარებული თესვის კამპანია კომკავშირთან ერთად. გამოირკვიეს, თუ რამდენი სურსათი სჭირდება საბე-კვადოურის გლეხობას.

ჩამოყალიბებულია პიკორთა წრე, სადაც წარმოებს მეცადინეობა, ჩატარებულ იქნა სალიტერატურო დილა, აგრეთვე წარმოდგენებიც. მოწყობილ იქნა გაფრენები.

ბ. კ. ო. რიგებში ჩავაბით 4 მოჯამაგირე. გამოვარკვიეთ აგრეთვე, თუ რამდენია წერა-კითხვის მცოდნე და არამცოდნე ჩვენს სოფელში.

საერთოდ ჩვენს კოლექტივს თავის მუშაობაში მნიშვნელოვანი მიხწევები აქვს.

პ. ჩიკვაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის წესიერად განაწილების შესახებ.

საკითხი პიონერების განტვირთვისა და გამოჯანმრთელების საკითხი უფრო და უფრო საყურადღებო ხდება ყველა ორგანიზაციისთვის, რადგან ამ საკითხის მოუწესრიგებლად შეუძლებელია ლაპარაკი მესამე თაობის ჯანსაღ აღზრდაზე.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ პიონერებს არა აქვთ დროის განაწილების ერთიანი გეგმა. პიონერები მუშაობენ ისე, როგორც შეხვდებათ, ყოველგვარი გეგმის გარეშე, ეს კი ძლიერ მავნებელია.

ყოველივე ეს გვიკარნახებს ერთიანი სანიმუშო მუშაობის და დასვენების რეჟიმის შემოღების საჭიროებას, რაც მტკიცედ უნდა დაიცვას და გაატაროს ცხოვრებაში თითოეულმა პიონერმა.

აქ ძველდველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველი წვრილმანი, როგორც, მაგალითად, სკოლაში ყოფნის, საზოგადოებრივ პოლიტიკური მუშაობის, სმა-ჭამის, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების, ძილის, თავისუფალი დროის, მეცადინეობის, საოჯახო მუშაობის და სხვათა ხანგძლივობა, რაც კალენდარულად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ თითოეული წამი იქნეს დაზოგვილი. აქედან შეიძლება შესდგეს დროის განწილების ზოგადი კვირეული ნუსხაც.

ამრიგად დროის გეგმის შედგენა ადგილობრივი პირობების და მუშაობის ხასიათზე არის დამოკიდებული, მაგრამ, ცხადია, მნიშვნელობა აქვს ასაკსაც. უფრო მოზრდილებს მეტი სასკოლო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საოჯახო მუშაობა მოეთხოვებათ, ვიდრე ძილი.

განაწილების გეგმას საფუძვლად უნდა დაედვას: სწორი აღრიცხვა პიონერ-ორგანიზაციის და სკოლის მუშაობის, პიონერთა ყოფა-ცხოვრების პირობები და მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებანი, რომ ურთიერთის გაგება შესძლონ.

პიონერ-მოწაფეთათვის სანიმუშოდ მოგვყავს ყოველდღიური მუშაობის და დასვენების განწესრიგება.

კოლექტივმა, რომელიც პრაქტიკულად შეუდგება ასეთი სახის გეგმის შემოღებას, კიდევ უფრო უნდა გააფართოოს ის, რომ არ გამორჩეს უბრალო წვრილმანიც კი გასატარებელ ღონისძიებებისა და მიუთითოს, თუ რომელ საათში და რა წამში რა უნდა იქნეს შესრულებული თითოეული პიონერის მიერ. აგრეთვე საჭიროა მტკიცედ განსაზღვრა კოლექტივის კვირეული მუშაობა-მეცადინეობის ხანგძლივობისა, როგორც პიონერებისათვის საერთოდ, ისე წინამძღოლთათვის.

ყველა კრება საქმიანი ხასიათის მატარებელი უნდა იყოს და არა მშრალი და მოსაწყენი; მუშაობა ისე უნდა განაწილდეს, რომ კოლექტივის

მუშაობის და დასვენების სახეები.	ასაკი		
	8-9-10	11-12-13	14-15-16
1. ადგომა, ხელპირის დაბანა, საუზმე, მომზადება სკოლაში წასასვლელად და მისვლა სკოლაში (გზა).	1 ს. 30 წ.	1 ს. 30 წ.	2 ს. აქვე შედის დილით გაკვეთილის წაკითხვა.
2. ლაბორატორიული მუშაობა, გაკვეთილი, თვით ორგანიზაციის და საკლუბო მუშაობა სკოლაში.	4 საათ.	4 საათ.	5 საათ.
3. საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობა (კომკავშირი და პიონერ-ორგანიზაცია. აქვე ფიზკულტურა-თამაში სუფთა ჰაერზე).	1 საათ.	1 ს. 30 წ.	1 ს. 30 წ.
4. წასვლა შინ, სადილი და მუშაობა ოჯახში.	1 ს. 30 წ.	1 ს. 30 წ.	2 საათ.
5. თავისუფალი დრო, გასეირნება, დამოუკიდებელი კითხვა, წასვლა უჯრედში, კოლექტივში და სხვა.	6 საათ.	5 ს. 30 წ.	4 ს. 30 წ.
6. ძილის ხანგრძლივობა. .	10-11 ს.	9½-10 ს.	9 საათი.

მოზრდილები დილით უფრო ადრე დგებიან

თითოეულ წევრს შეხვდეს ესა თუ ის დავალება (მხოლოდ ერთი ნაწილი არ უნდა დაიტვირთოს მუშაობით). კომისიების რიცხვი რაც შეიძლება შემცირებულ იქნეს. ფორპოსტმაც მუშაობის მტკიცე წესი უნდა იქონიოს. სკოლამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი. ამრიგად, დროის წესიერად გამოყენება გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და გაჯანსაღების გზაზე დაყენებს ბავშვებს. თითოეულმა პიონერ-კოლექტივმა ამას უნდა მიახწიოს.

გ. სოსელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მრეწველობის მიხწევანი.

საბჭოთა საკავშირო განათების ტეხნიკური გამოფენა.

ოქტომბრის ათი წლის თავისთვის საბჭოთა მოღვაწეობის ყოველი დარგის შეფასება ხდება.

ერთ-ერთი მოღვაწეობის შეფასებას წარმოადგენს განათების ტეხნიკური საკავშირო გამოფენა, რომელიც ახლახან გაიხსნა მოსკოვში.



ელექტრო-ლამფების გაკეთება განათების გამოფენაზე.

ომამდე მეფის რუსეთში განათების ტეხნიკური მრეწველობის ხსენებაც კი არ ყოფილა.

უწინ ელექტრონის ლამფები, ფოტოგრაფიული აპარატები, „პლასტინკები" მათთვის, ობიექტივები, მიკროსკოპები, დურბინდები, ჭოგრები, კინემატოგრაფები და სხვა—ყველაფერი საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. მართალია, ერთი ორი ფაბრიკა იყო, სადაც აწყობდენ დურბინდებს, ფოტო-აპარატებს და ელექტრო-ლამფებს, მაგრამ ყველაფერი ეს საზღვარგარეთ დამზადებული მასალისაგან კეთდებოდა.

ათი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა თავისი საკუთარი განათების ტეხნიკური მრეწველობა. მთავარი მიხწევა ამ მრეწველობაში ლამფების წარმოებას უჭირავს. ამ დარგში აი რა სურათი იშლება ჩვენ თვალწინ:

1914 წ. საზღვარგარეთიდან შემოტანილი ელექტრო-ლამფა 26 კილოვატიანი ღირდა 80 კაპ. ახლა საბჭოთა მრეწველობა უშვებს ამგვარ ლამფებს 14 კაპ. 1914 წ. რუსეთში გაიყიდა 2.293 მან. ლამფები, 1926 წელს კი 16.706.467 მანეთის.

გამოფენაზე აჩვენებენ ლამფების შეკრების მთელ პროცესს: ცარიელ შუშაში აბამენ მავთულების ბეწვებს, მერე ამოსწურავენ შუშიდან ჰაერს, დააკავშირებენ, და ლამფა მზად არის.

მნახველები ყიდულობენ იმათ თვალწინ გაკეთებულ ლამფებს. ყველა ლამფაზე ამოჭრილია წარწერა—„საკავშირო განათების პირველი ტეხნიკური გამოფენა". ლამფებს გარდა გამოფენილია ყოველნაირი ელექტრონაწარმოები: ძრავები, დინამო, რეოსტატები [1]) და სხ.

გამოფენაზეა აგრეთვე რუსეთში პირველად გამომუშავებული მიკროსკოპები, დურბინდები, ჭოგრები და სხვ. საბჭოთა კინოების პავილიონში გამოფენილია კინო-აპარატები. გამოფენაზე აუარებელი ხალხი დადის.

ავტომობილის წარმოება.

1927 წ. 1. იანვარს დედამიწის ზურგზე 27.646.500 ავტომობილი იყო. ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის—12,001,393 ავტომობილი, შემდეგ მიჰყვება ინგლისი—2,023,650, თითქმის 21-ჯერ უფრო მცირე რიცხვი. სხვა ქვეყნებში კიდევ უფრო ნაკლები რიცხვია.

მაგრამ მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რამდენი მანქანაა, საყურადღებო ის არის, თუ რამდენ კაცზე მოდის ერთი მანქანა. ამ მხრივაც უპირველესი ადგილი ეკუთვნის ამერიკას: იქ 5,3 კაცზე მოდის ერთი მანქანა, შემდეგ მიჰყვება ახალი ზელანდია და კანადა: პირველში 10,5 კაცზეა ერთი ავტომობილი, მეორეში—10,7. ინგლისში 43 კაცზე—1 ავტომობილი.



რენტგენის მანქანების პავილიონი განათების გამოფენაზე

1926 წელს გაკეთებულა 5,061,584 მანქანა. ამ რიცხვიდან ჩრდ. ამერიკაში გაუკეთებიათ—4.319,456 ცალი, ე. ი. 88% მთელი ქვეყნიერების ავტოებისა. შემდეგ მიჰყვება საფრანგეთი—200.000 მანქანა, ინგლისი—198.000, იტალია—64,760 და გერმანია—54.500. სხვა ქვეყნებში კი გაუკეთებიათ 20.000 ავტომობილი.

[1]) მანქანა, რომელიც ანაწილებს ელექტრონის ძალას სხვადასხვა ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ.

კოჭები ანუ კაცები. კოჭები ორი ფერისაა, მიღებულია თეთრი და შავი ფერი. თითოეული ფერის კოჭი თექვსმეტ-თექვსმეტია. კოჭები ორ თანაბარ ნაწილად განიყოფება: **ფიგურებად და პაიკებად.** ფიგურების რიცხვი რვა-რვას უდრის (რვა თეთრი და რვა შავი). თითოეულ ფიგურას თავისი საკუთარი სახელი აქვს: **მეფე, ლაზიერი, კუ, მხედარი და ეტლი.** მეფე და ლაზიერი თითო თითოა (შავი და თეთრი); დანარჩენი ორ-ორია. თამაშის დასაწყისში თეთრი ფიგურები დალაგებულია პირველ ჰორიზონტალურ რიგზე, ხოლო შავი ფიგურები მე-8 ჰორიზონტალურ რიგზე. ფიგურების წინ ჩამწკრივებულია მათივე ფერის პაიკები, რომელთა რიცხვიც რვა-რვას უდრის (სულ 16). მაშასადამე, თეთრი პაიკები ალაგია მე-2 ჰორიზონტალურ რიგზე, ხოლო შავი პაიკები მე-7 რიგზე.



დიაგრამა № 1.

თამაშობის დაწყებისას თითოეულ ფიგურას თავისი განსაზღვრული ადგილი უჭირავს (იხ. დიაგრ. № 1). თეთრები სხედან: მეფე—e 1; ლაზიერი—d 1; მეფის მარჯვენა გვერდით—f 1-ზე ერთი კუ ზის, ხოლო ლაზიერის მარცხენა გვერდზე—c 1-ზე—მეორე კუ. g 1-სა და b 1-ზე მხედრები სხედან, კიდურებზე—h 1 და a 1 ეტლები. როგორც აღვნიშნეთ, ფიგურების წინ პაიკები სხედან; მათ უჭირავთ შემდეგი უჯრები a 2, b 2, c 2, d 2, e 2, f 2, g 2 h 2.

ამავე წესით ლაგდება შავი კოჭები. მოწინააღმდეგე ფერის ერთიდაიგივე ფიგურები ერთმანეთის გასწვრივ სხედან. შავი მეფე ზის e 8-ზე, ლაზიერი—d 8-ზე; ორი კუ—f 8-სა და c 8-ზე; მხედრები—g 8 სა და b 8-ზე; ხოლო კიდურები—h 8 და a 8—ეტლებს უჭირავთ. შავი პაიკები აწყვია მეშვიდე რიგზე: a 7, b 7, c 7, d 7, e 7, f 7, g 7, h 7. უნდა გვახსოვდეს, რომ ლაზიერს თავისი ფერის უჯრა უჭირავს—თეთრს თეთრი და შავს შავი, ხოლო მეფეს თავის საწინააღმდეგო ფერის უჯრა—თეთრ მეფეს შავი (e), ხოლო შავ მეფეს თეთრი (e8).

მეფისა და ლაზიერის ფრთა. როგორც ვიცით, შუა უჯრებზე (e 1, d 1, e 8, d 8) მეფე და ლაზიერი სხედან; ამ ადგილს ეწოდება **ცენტრი, ანუ შუაგული.** მეფისა და ლაზიერის წინ მსხდომ პაიკებს (e 2, d 2, e 7, d 7) ეწოდება **ცენტრის პაიკები,** ხოლო ცალკ-ცალკე კი—**მეფის პაიკი**(e 2, e 7. და **ლაზიერის პაიკი** d 2, d 7). მეფისა და ლაზიერის, ადგილის მიხედვით ფიგურები და პაიკები იყოფა ორ ფრთად (ფლანგად)—მეფისა და ლაზიერის, ანუ **მარჯვენა და მარცხენა ფრთად.** თეთრებით მოთამაშისთვის მეფის ფრთა მარჯვენაიქნება, ხოლო შავებით მოთამაშისთვის მარცხენა. თითოეულ ფრთაში ფიგურებისა და პაიკების თანაბარი რიცხვია: სამ-სამი პაიკი (თუ ცენტრის პაიკებს არ ჩავთვლით) და სამ-სამი ფიგურა: თითო ეტლი, თითო მხედარი, თითო კუ; თვითეულ ფიგურას კი ეწოდება: მეფის მხარეზე—მეფის ეტლი (h 1, h 8), მეფის მხედარი (g 1, g 8,) მეფის კუ (f 1, f 8); ლაზიერის მხარეზე—ლაზიერის ეტლი (a 1, a 8), ლაზიერის მხედარი (b 1, b 8), ლაზიერის კუ (c 1, c 8).

ეტლების წინ მსხდარ პაიკებს ეწოდება ეტლის პაიკები, ანუ ნაპირი პაიკები; (a 2, h 2, a 7 h 7), მხედრის წინ—მხედრის პაიკები (b 2, g 2, b7 g7): კუს წინ—კუს პაიკები (c 2, f 2, c 7, f 7).

როგორ მოძრაობენ კოჭები. თითოეული ფიგურა თავისებურად დადის, ანუ, როგორც იტყვიან, თითოეულ ფიგურას თავისი საკუთარი სვლა აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა მეფე არის. თამაში მის გარშემო წარმოებს. მეფის დატყვევებით თამაშიც სრულდება. ამიტომ მეფიდან დავიწყოთ.

მეფე დადის თითო უჯრაზე, როგორც პირდაპირი ხაზით, ისე გეზად, როგორც წინ, ისე უკან. წარმოვიდგინოთ ცარიელი რუკა და თეთრი მეფე დავსვათ d 5-ზე (იხ. დიაგრ. № 2). სად შეუძლია მას წავიდეს? ვერტიკალური ხაზით—d 6 (წინ) და d 4 (უკან), ჰორიზონტალური ხაზით—e 5 და c5; დიაგონალით (გეზად)—წინ c 6 და e6; უკან—c 4, e 4; მაშასადამე, მეფეს შეუძლია გააკეთოს ამ რვა სვლაში ერთ-ერთი.

სვლის გაკეთება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის უჯრა, რომელზედაც უნდა დაჯდეს ესა თუ ის ფიგურა, თავისი ფერის კოჭით არ არის დაჭერილი. წარმოვიდგინოთ მეფე ვერტიკალურ რიგზე ან a-ზე, ან h-ზე, ანდა ჰორიზონტალურ რიგზე—ან 1-ზე ან 8-ზე. როგორც მკითხველი ჰხედავს, ჩვენ ვიღებთ ნაპირა რიგებს; ამ შემთხვევაში მეფის განკარგულებაშია ხუთი უჯრა; მაგალითად, მეფე ზის a 4-ზე; შეუძლია წავიდეს: a 3, a 5, b 3, b 4, b 5; მეფე ზის e 8-ზე; შეუძლია წავიდეს—d 8, f 8, d 7, e 7, f 7. წარმოვიდგინოთ მეფე კუთხის უჯრაზე (a 1, a 8, h 1, h 8): მას შეუძლია მხოლოდ სამი სვლა გაკეთოს; მაგალითად, ზის a 8-ზე; შეუძლია წავიდეს a 7,b 8, b 7.



დიაგრამა № 2.

ლაზიერი იმავე მიმართულებით დადის, როგორც მეფე, ოღონდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ლაზიერი დადის არა მარტო თითო უჯრაზე, არამედ მთელ ხაზზე; მას შეუძლია იაროს როგორც პირდაპირ, ისე გეზად, როგორც წინ, ისე უკან, როგორც ერთ უჯრაზე, ისე ორზე, სამზე, ოთხზე, ვიდრე რვამდე. ავიღოთ თავისუფალი რუკა და ლაზიერი დავსვათ d 1-ზე (იხ. დიაგრ. № 3); მას შეუძლია წავიდეს ვერტიკალურად—d 2, d 3, d 4, d 5, d 6, d 7, d 8; ჰორიზონტალურად—c 1, b 1, a 1, e 1, f 1, g 1, h 1; დიაგონალით (გეზად)—c 2, b 3, a 4,

e 2, f 3, g 4, h 5. მაშასადამე, ამ პოზიციიდან (d 1) ლაზიერს შეუძლია 21 სვლაში ერთ-ერთი ამოირჩიოს. მაგრამ თუ იგი შუა ადგილას დავსვით, მაგ. d 4-ზე, მისი სამოქმედო არე უფრო ფართოვდება, მას შეეძლება 27 სვლაში ერთ-ერთი ამოირჩიოს: ვერტიკალურად—d 3, d 2, d 1, d 5, d 6, d 6, d 8; ჰორიზონტალურად: e 4, f 4, g 4, h 4, c 4, b 4, a 4; დიაგონალით: c 3, b 2, a 1, e 5, f 6, g 7, h 8, e 3, f 2, g 1, c 5, b 6, a 7.



დიაგრამა № 3.

ეტლი სიარულის მხრივ განახევრებული ლაზიერია; იგი დადის მხოლოდ პირდაპირი ხაზით — ვერტიკალით და ჰორიზონტალით. გეზად სიარული მას არ შეუძლია. მაგალითად, თუ ეტლი ზის h 1-ზე (იხ. დიაგრ. № 4), მას შეუძლია 14 სვლაში ერთ-ერთი ამოირჩიოს — ჰორიზონტალურად: g 1, f 1, e 1, d 1, c 1, b 1, a 1; ვერტიკალურად: h 2, h 3, h 4, h 5, h 6, h 7, h 8.

კუს სიარულის მხრივ განახევრებული ლაზიერია, ოლონდ ლაზიერისა და ეტლისგან იმით განსხვავდება, რომ დადის მხოლოდ გეზად, დიაგონალით. თეთრი მეფის კუ დადის მხოლოდ თეთრ უჯრებზე, გეზად წინ და უკან, ხოლო თეთრი ლაზიერის კუ შავ უჯრებზე. შავი მეფის კუ დადის შავ უჯრებზე, ხოლო ლაზიერისა— თეთრებზე. დავსვათ კუ e 5-ზე (იხ. დიაგრ. № 5). მის სასიარულო არეს წარმოადგენს d 4, c 3, b 2, a 1, f 6, g 7, h 8, f 4, g 3, h 2, d 6, c 7, b 8.

ამრიგად ვნახეთ, რომ ლაზიერი მოძრაობის მხრივ აერთებს ეტლსა და კუს.

თავისებურად დაიარება **მხედარი**: იგი ტეხილი ხაზებით დადის და აკეთებს სწორ კუთხეს, რომელშიაც ოთხი უჯრაა (მხედრის თავდაპირველ უჯრასთან ერთად). მხედრის სვლის განმარტება შეიძლება კიდევ ამნაირად: იგი ჯდება ჯერ ერთ უჯრაზე პირდაპირი ხაზით (ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად) და შემდეგ გეზად მეზობელ უჯრაზე. თავისი სვლის დროს მხედარი იცვლის როგორც რიგს და ხაზს, ისე უჯრის ფერსაც. თუ მხედარი თეთრ უჯრაზე ზის, მას შეუძლია მორიგ სვლაზე მხოლოდ შავ უჯრაზე დაჯდეს და პირიქით. დავსვათ მხედარი e 4-ზე და პაიკებით აღნიშნოთ ის უჯრები, სადაც მას შეუძლია დაჯდეს (იხ. დიაგრ. № 6); ამნაირად ჩვენ მივიღებთ წრეს: d 2, f 2, g 3, c 3, g 5, d 6, f 6. ამ დიაგრამას რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ: თავისუფალია ჰორიზონტალურადაც და ვერტიკალურადაც ის ხაზი, რომელზედაც თვით მხედარი იმყოფება; სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან პირდაპირი ხაზი კუთხეს ვერ მოგვცემს. პაიკით არ არის აღნიშნული აგრეთვე არცერთი თეთრი უჯრა, ვინაიდან ის თავდაპირველი უჯრა, საიდანაც აკეთებს სვლას (e 4), თეთრია და, მაშასადამე, მხედარი საწინააღმდეგო ფერის უჯრაზე უნდა დაჯდეს.

ერთი მთავარი თვისება მხედრისა, რითაც იგი ყველა სხვა კოჭისაგან განსხვავდება, ისაა, რომ თავისი სვლის დროს ახტება როგორც თავისივე ფერის კოჭებს, ისე საწინააღმდეგის კოჭებს და ჯდება სათანადო ადგილას. ყველა სხვა კოჭისათვის, როგორც ფიგურისათვის, ისე პაიკისათვის, სვლის დაბრკოლებას წარმოადგენს თავისივე ფერის კოჭი.

პაიკი დადის თითო უჯრაზე პირდაპირი ხაზით და მარტო წინ, პაიკს უკან წასვლა არ შეუძლია. ეს არის პაიკის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ფიგურებისაგან; პაიკი მოძრაობის მხრივ ცოტა ენათესავება მეფეს, რადგანაც ორივენი თითო უჯრაზე დადიან; მაგრამ მეფეს შეუძლია სიარული გეზადაც და უკანაც, პაიკს კი ეს არ შეუძლია; მოთამაშეს უფლება აქვს პაიკი თავისი თავდაპირველი უჯრიდან ორ უჯრაზე გადასვას, შემდეგ კი აუცილებლად თითო-თითო უჯრით უნდა გასწიოს. მაგალ. (იხ. დიაგრ. № 1) პაიკი d 2-დან შეიძლება d 4-ზე გადისვას; ანდა h 2-დან h 4-ზე. როდესაც პაიკი გადის უკანასკნელ ჰორიზონტალურ რიგზე (თეთრები მე-8-ზე და შავები 1-ზე), იგი ფიგურად იქცევა; მოთამაშის სურვილზეა დამოკიდებული, რომელი ფიგურა (გარდა მეფისა) აქციოს ლაზიერად, ეტლად, კუდ თუ მხედრად. ხშირად, უცოდინარობის გამო, ჰგონიათ ხოლმე, რომ პაიკი მხოლოდ იმ ფიგურად შეიძლება იქცეს, რომელიც მოკლულია და რუკაზე არ იმყოფებაო. ეს შეცდომაა. შეიძლება მოთამაშეს ორი, სამი, ოთხი და მეტი ლაზიერიც (ან სხვა ფიგურა) ჰყავდეს, თუ, რა თქმა უნდა, პაიკების შესაფერ რიცხვს გაიყვანს ბოლო ჰორიზონტალზე.

თამაშის მიზანი, პარტია, სვლა, მოკვლა. ჭადრაკის ერთ რუკაზე ერთსადაიმავე დროს თამაში შეუძლია მხოლოდ ორ ადამიანს *). თამაში იმაში მდგომარეობს, რომ რიგ-რიგობით ხან ერთი მხარე და ხან მეორე სვლას აკეთებს, ანუ თავის რომელიმე კოჭს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვამს. ერთ სვლაზე შეიძლება მხოლოდ ერთი კოჭი გადაისვას (არის გამონაკლისი, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). თამაშს ის მოთამაშე იწყებს (ანუ პირველ სვლას ის მოთამაშე აკეთებს), რომელსაც თეთრი კოჭები ჰყავს. თუ ვის უნდა ჰყავდეს თეთრი და შავი კოჭი, ეს კენჭის ყრით ირკვევა. თამაშის მიზანი ისაა, რომ მოპირდაპირის მეფეს ყოველმხრივ გზა შეეკრას, გასავალი არ ჰქონდეს, ანდა, როგორც ჭადრაკის ენაზე იტყვიან, მეფეს **შამათი** გაუკეთდეს. თამაშის მიზანი შამათის გაკეთებაა. მოგებულად ის ითვლება, ვინც შამათს



დიაგრამა № 4.

*) არის ხოლმე შემთხვევა, რომ ერთსადაიმავე დროს ერთ რუკაზე ერთი მოთამაშე რამდენიმეს ეთამაშება. ასეთ ხელს ეძახიან—თამაში კონსულტაციით. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჭადრაკის ძირითადი მიზანი არ ირღვევა—ისევ ორი მოპირდაპირე მხარე რჩება. არის კიდევ განსაკუთრებული სახე თამაშისა, რომელშიაც მონაწილეობს ოთხი მოთამაშე და თითოეული მათგანი დამოუკიდებელ მხარეს წარმოადგენს. ამ თამაშისათვის ჭადრაკის რუკა სხვაგვარია და ზედ კოჭები ცალკ-ცალკე ლაგდება თითოეული მოთამაშისათვის. ეს თამაში ძალიან იშვიათად ხდება და არც იმდენად საინტერესოა.

უკეთებს, ხოლო წაგებულად ის, ვისი მეფეც შამათქმნილია. პირველი სვლიდან ვიდრე შამათამდე (ე. ი. უკანასკნელ სვლამდე) თამაშს **ერთი ხელი, ანუ ერთი პარტია,** ეწოდება. ხელი შეიძლება შამათითაც არ დასრულდეს, მაგრამ პარტია მაინც დამთავრებულად ჩაითვალოს. ასეთი შემთხვევებია, როცა ერთ ერთი მხარე ჰნებდება, იარაღს ჰყრის და თავის თავს დამარცხებულად აცხადებს; არის კიდევ ისეთი შემთხვევები, როცა ხელი ფრედ მთავრდება, ე. ი. როცა არც გამარჯვებული და არც დამარცხებული მხარე არაა. თუ რა პირობებში ითვლება პარტია ფრედ, ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.



დიაგრამა № 5.

სვლად ითვლება როგორც თავისი კოჭის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასმა, ისე მოპირდაპირის კოჭის მოკვლა, ანუ აღება. როდესაც მოპირდაპირეს კოჭს უკლავენ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ რუკიდან იღებენ მოკლულ კოჭს და მის ადგილზე სვამენ იმ კოჭს, რომლითაც მოიკლა. თითოეული მხარე იმას უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება დაასუსტოს, ე. ი. რაც შეიძლება ბევრი კოჭი მოუკლას მოპირდაპირეს — მეფეს მფარველი ნაკლები რომ ჰყავს, შამათი უფრო ადვილია. ცხადია, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფიგურებისა და პაიკების სიმრავლეს, მაგრამ მდგომარეობის ავ-კარგიანობა და გამარჯვება-დამარცხება მარტო ამით არ განისაზღვრება. შეიძლება ერთ-ერთ მხარეს რიცხვით ნაკლები კოჭიც ჰყავდეს, ე. ი. მეტი კოჭი ჰყავდეს მოკლული, მაგრამ გამარჯვებული მაინც იგი გამოვიდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პოზიციები უჭირავთ მოთამაშეთ, რა ადგილას უდგათ ფიგურები და სხვა.

ფიგურები ჰკლავენ ისევე, როგორც მოძრაობენ. ეტლს შეუძლია მოჰკლას მხოლოდ ჰორიზონტალითა და ვერტიკალით წინ და უკან, ლაზიერს ორივე ამ მიმართულებით და აგრეთვე დიაგონალებით წინ და უკან; კუს მხოლოდ დიაგონალით წინ და უკან, მხედარს ტეხილი ხაზით წინ და უკან, მეფეს თითო უჯრაზე, როგორც ლაზიერს. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს პაიკი, რომელიც დადის პირდაპირი ხაზით წინ და ჰკლავს კი გეზად. ფიგურები ჰკლავენ როგორც საწინააღმდეგო ფერის ფიგურებს, ისე პაიკებს. ასევე პაიკებიც — ისინი ჰკლავენ როგორც პაიკებს, ისე ფიგურებს (იხ. დიაგრ. № 7). ამ დიაგრამის საშუალებით აღვნიშნავთ, თუ რომელი კოჭი რომელს ჰკლავს. თეთრ ლაზიერს შეუძლია ამ მდგომარეობაში მოჰკლას შავი კუ (c 5) და მის ადგილზე დაჯდეს. მასვე შეუძლია მოჰკლას პაიკიც (a 5); თეთრ ეტლს შეუძლია მოჰკლას იგივე პაიკი; თეთრ კუს შეუძლია მოჰკლას მხედარი (c 6); იმავე მხედრის მოკვლა შეუძლია თეთრ მხედარს (e 5); პაიკს e 4-ს შეუძლია მოჰკლას შავი პაიკი d 5, ხოლო შეორე პაიკს g 4-ს შეუძლია მოჰკლას ეტლი h 5, თეთრ მხედარს e 5-ს შეუძლია მოჰკლას პაიკი f 7; შავ ეტლს b 8-ს შეუძლია მოჰკლას თეთრი კუ b 5 და მხედარი, მეორე ეტლს h 5-ს შეუძლია მოჰკლას პაიკი h 7 და მხედარი e 5; შავ კუს c 5-ს შეუძლია მოჰკლას პაიკი f 2 და ეტლი a 3; მეორე კუს e 6-ს შეუძლია მოჰკლას პაიკი g 4; მხედარს c 6-ს შეუძლია მოჰკლას თეთრი მხედარი e 5 და პაიკი a 5, პაიკს d 5-ს შეუძლია მოჰკლას პაიკი e 4.



დიაგრამა № 6.

ჭადრაკში მოკვლა სავალდებულო არ არის. მოთამაშის სურვილზეა დამოკიდებული — უნდა მოჰკლავს, უნდა არა.



დიაგრამა № 7.

აღსანიშნავი დაგვრჩა კიდევ ის, რომ თუ ერთი ფერის კოჭები ერთიმეორის სავალ გზებზე სხედან, ამით ამა თუ იმ კოჭის მოძრაობა ფერხდება. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მხედარი, რომელიც ახტება ფიგურებს (იხ. დიაგრ. № 8). დავიწყოთ მეფიდან: როგორც ვიცით, მეფეს ამ მდგომარეობაში შეუძლია ხუთ სვლაში ერთ ერთი ამოირჩიოს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მის განკარგულებაში მხოლოდ ოთხი სვლაა, რადგანაც ერთი უჯრა (f 2) დაჭერილია მისივე ფერის მხედრით. მაშასადამე, მას დარჩენია ოთხი სვლა f 1, h 1, h 2, g 2; ლაზიერს c 1—g 1-ის მიმართულებით შეუძლია მივიდეს მხოლოდ მეფემდე (f 1); c 1—a 1-ის მიმართულებით მხოლოდ ეტლამდე (b 1); c 1—a 3-ის დიაგონალით ლაზიერი სრულიად ვერ წავა, რადგანაც უშლის პაიკი b 2; c 1—c 8-ს ვერტიკალით შეუძლია მივიდეს მხოლოდ პაიკამდე (c 5); ეტლს (a 1) a 1—h 1 ჰორიზონტალით შეუძლია მხოლოდ ერთ უჯრაზე წავიდეს (b 1), რადგანაც მის მოძრაობას ლაზიერი უშლის; a 1—a8 ვერტიკალით შეუძლია მივიდეს მხოლოდ პაიკამდე, ე. ი. ორ უჯრაზე გადავიდეს (a 3-ზე); მეორე ეტლს (e 6) e 6—e 1-ს ვერტიკალით შეუძლია მივიდეს კუმდე და დაჯდეს e 4-ზე; ხოლო e 6 — a 6 ჰორიზონტალით შეუძლია მივიდეს მხოლოდ პაიკამდე და დაჯდეს d 6-ზე. კუს (h 3) h 3 — c 8 დიაგონალით შეუძლია მივიდეს ეტლამდე ⁄ დაჯდეს f 5-ზე; მეორე კუ e 3 — h 6-ის დიაგონალით ვერ წავა, რადგან პაიკი f 4 უშლის; ასევე ვერ წავა e 3—g 1-ის დიაგონალით, რადგანაც აქ მხედარი უშლის; რაც შეეხება e 3 — c 1-ის დიაგონალს, აქ ერთ უჯრაზე შეიძლება გადავიდეს (d 2), რადგანაც მის შემდეგ სვლას ლაზიერი უშლის. მხედარი, როგორც ვთქვით, ახტება კოჭებს. მიუხედავად იმისა, რომ მხედრის (f 2) წინ სამი კოჭია ჩამწკრივებული (ერთი კუ და ორი პაიკი), იგი მაინც თავისუფლად გადავა d 3-ზე, e 4-ზე, g 4-ზე; სამაგიეროდ მხედარი ვერ დაჯდება h 3-ზე, რადგანაც ეს ადგილი დახაფრულია კუთი. ასევე ვერ დაჯდება მეორე მხედარი (a 5) c 6-ზე, ვინაიდან ეს უჯრა პაიკით არის დაჭერილი. პაიკს (a 4) სვლას უშლის მხედარი (a 5); ხოლო შეორე პაიკს (b 3) უშლის პაიკივე (f 4).



დიაგრამა № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშობანი.

ბურბალი.

პიონერები იყოფიან ჯგუფებად (თითო ჯგუფში 8 კაცი). ოთხი ყველაზე პატარა პიონერი, ხელი-ხელჩაკიდებული, იჭერს თავისუფალ მანძილს.

ნიშნის მიცემის შემდეგ პატარები გაიმართებიან წელში და მოაშორებენ მიწას ტანს; მხოლოდ ფეხები რჩება მიწაზე დამჯდარი ამხანაგების ფეხებზე მიბჯენით. დიდები იწყებენ ბრუნვას ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ვიდრე პატარები არ მოაშორებენ ერთმანეთს ფეხებს.

ბობოლა მესაკუთრენი და ღარიბი გლეხები.

მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან. მოედანი, რომელზედაც პიონერები თამაშობენ, სოფელს წარმოადგენს. სოფლად ცხოვრობენ როგორც ღარიბი გლეხები, ისე ბობოლა-მესაკუთრეები. ბობოლა-მესაკუთრეები ცხოვრობენ მოედნის ოთხივ კუთხეში მოთავსებულ სახლებში (წრეა მოხაზული), ღარიბი გლეხები კი მოედნის შუაგულზე, ცალკე კომუნად.

გლეხებს ხელში ჩალიჩა უკავიათ და საქმეების გამო სოფლად დადიან. თუ მათ გზაში ბობოლა მესაკუთრე შეხვდათ, უკანასკნელს შეუძლია გლეხს ზურგზე მოახტეს. გლეხმა ბობოლა მესაკუთრე კომუნის ბინაზე უნდა წაიყვანოს. მიყვანისთანავე ბობოლა მესაკუთრე გამოიქცევა, გლეხები კი მას დაედევნებიან და ჩალიჩით ცემას დაუწყებენ. ბობოლა მესაკუთრეს თავის შველა შეუძლია რომელიმე მესაკუთრის სახლში, სადაც გლეხები ვერ შევლენ.

ნაბიჯები.

მოთამაშეთა რიცხვი—20 დან 40-მდე. ირჩევენ ერთ ან ორ მეთაურს, რომელნიც დგებიან ყველაზე წინ—სამი, ან ხუთი მეტრის მანძილზე ზურგით მოთამაშეებისკენ. დანარჩენები ჩერდებიან მეთაურების უკან, წესრიგის დასაცავად.

მეთაურის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ ყველა მიდის წინ, უცდიან განკარგულებებს „სამი“, რომლისთანავე მეთაურები მობრუნდებიან და ამოირჩევენ იმათ, რომელნიც ირყევიან და სამ დაძახებაზე ვერ მოასწრეს გაჩერება. ასეთებს აჩერებენ უკან.

მოთამაშეთა მიზანია—მეთაურების თვლის დროს მოასწრონ მეთაურებთან რაც შეიძლება უფრო ახლოს მისვლა, რომ დადაღონ რომელიმე მათგანი.

თუ რომელიმე მოთამაშეთაგანმა მოახერხა მეთაურთან მისვლა და მისი დადაღვა, რჩება მის ადგილზე, ხოლო მეთაური მიდის და დგება ყველაზე უკან, რის შემდეგ თამაში ისევ გრძელდება.

თამაშის წესები: არ შეიძლება თვლის დროს მეთაურთან სირბილით მიახლოვება, არამედ ნაბიჯით.

ჩალიჩის დამალვა

მოვარჯიშენი მჯიდრო წრეს აკეთებენ. ერთი მოთამაშე წრეში სდგას და ხელში ჩალიჩა უკავია. იგი ჩალიჩას წრის ხაზზე მდგომ რომელიმე პიონერს გადაუგდებს, რომელიც მას დაიჭერს, დამალავს და შემდეგ თავის ამხანაგს გადასცემს. წრეში მდგომი დაუწყებს ჩალიჩას ძებნას; ხან ერთს მივარდება და ხან მეორეს. მაგრამ მოთამაშენი ჩალიჩას ერთმანეთს გადასცემენ და ამნაირად მალავენ.

ცხელა—ცივა.

ეს თამაში გამოსადეგია ოქტომბრელთათვის. თამაში წარმოებს მოედანზე, ან დარბაზში. მოხაზავენ დიდ წრეს, რომელშიაც ჩადგებიან ბავშები. ამოირჩევენ ერთ ოქტომბრელს, რომელსაც თვალებს აუხვევენ. შემდეგ შუა მოედანზე დააგდებენ ჩალიჩას. თვალებახვეული ოქტომბრელი უნდა შეეცადოს ჩალიჩის მონახვას. როდესაც იგი მიუახლოვდება ჩალიჩას, ბავშები დაიძახებენ „ცხელა“, და როდესაც დაშორდება—დაიძახებენ „ცივა“. ჩალიჩის მიღებისათანავე თვალებახვეული აიღებს მას ხელში და დაუწყებს მოთამაშეებს ცემას, რომლებიც ვერ გაშორდებიან მოხაზულ წრეს. რომელსაც მოხვდება ჩალიჩა, შემდეგ მას აუხვევენ თვალებს.

თოკის ქვეშ გარბენა.

ორი მოთამაშე ნელა და თანასწორად ატრიალებს თოკს, ისე რომ თოკი ხან მიწას შეეხება და ხან ზევით აიწევს. დანარჩენი მოთამაშენი ცდილობენ თოკის ქვეშ გარბენას. ხოლო ისე, რომ მათ თოკი არ შეეხოს.

ვინც თოკს გამოედება, იგი თამაშობიდან გადის. მოგებული ის რჩება, რომელიც თოკს არც ერთხელ არ გამოედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი"-ს და „ნაპადული"-ს რედაქცია.

ელსმენი—23—16

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—25/XI—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ალეხ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 2046. შეკვ. № 218/2499. ტირაჟი 1000.